# **კონცეფცია:** საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობა საქართველოში ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში

განახლებული ვერსია

ავტორი: CENN

1998 წლიდან CENN - არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივ თემებსა და ეროვნულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის მწვანე და მდგრად განვითარებას. სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში მომუშავე CENN-ის 60-ზე მეტი პროფესიონალი თანამშრომლისგან შემდგარი გუნდი და მოხალისეთა ქსელი გარემოსდაცვითი გამოწვევებისა და პრობლემების მოსაგვარებლად მაღალი ხარისხის მომსახურებას ინოვაციური გადაწყვეტილებების საშუალებით უზრუნველყოფს. 26 წლიანი მუშაობისა და 250-ზე მეტი კომპლექსური პროექტის გამოცდილებაზე დაყრდნობით CENN წარმატებით მართავს მასშტაბურ საერთაშორისო ინიციატივებს და ამ გზით ხელს უწყობს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებასა და მმართველობის სრულყოფას. ორგანიზაციას აქვს ცოდნა და გამოცდილება ისეთ საკითხებში, როგორიცაა უახლესი ტექნოლოგიები, მონაწილეობითი დაგეგმვა, შედეგზე ორიენტირებული მართვა, საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, რომლებიც მიზნად გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებას ისახავენ.

CENN – 2024 წ.

ბეთლემის 27, თბილისი 0105

+995 32 2 75 19 0

info@cenn.org

www.cenn.org

## ანოტაცია

საქართველოს მიერ 2020 წელს „ტყის კოდექსის“ მიღება მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყნისთვის ტყის მდგრადი მართვა, ეკოსისტემების დაცვა და ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვანია. თუმცა, ტყის მართვის დაგეგმვის (FMP) არსებულ პროცესებში ტყეზე დამოკიდებული თემების საჭიროებები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული, რაც პოტენციურ კონფლიქტებსა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის კუთხით ხარვეზებს განაპირობებს. ამ პრობლემების გადასაჭრელად CENN-მა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის“ პროექტთან (ECO.GEORGIA), ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შეიმუშავა და გამოცადა საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომა (IPPA). საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომაში (IPPA) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტყის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას ისეთი მონაწილეობითი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC), ეკოსისტემური სერვისების დარუკება და სტრუქტურირებული საჯარო კონსულტაციები.

საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომის (IPPA) მიზანია, ხელი შეუწყოს დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას, კონფლიქტების პრევენციასა და ტყეების მართვის გეგმების მომზადებაში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. მიდგომა წარმოადგენს სხვადასხვა ეტაპებზე საზოგადოების ჩართულობის პროტოკოლებს, რომლებიც ტყის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინებას უზრუნველყოფენ. აღნიშნული მიდგომა აძლიერებს თანამშრომლობას და ამ გზით ხელს უწყობს ტყის მდგრად მართვას, გენდერულ თანასწორობასა და მეტი სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღებას. დაინტერესებული მხარეების განსხვავებული ინტერესების გათვალისწინებით, საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომა (IPPA) მიზნად საქართველოში ტყეების მართვის გაძლიერებასა და გრძელვადიანი რეგიონული განვითარებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობას ისახავს.

# შინაარსი


1. აბრევიატურები ........ 4
2. რეზიუმე ........ 5
3. საჭირო ინფორმაცია და პროექტის ჩარჩო ........ 6
4. IPPA დოკუმენტის მეთოდოლოგიის გამოცდა ........ 10
5. IPPA-ს განახლებული პროტოკოლი ........ 13
   5.1 საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომა (IPPA) – პროტოკოლები . 14
      5.1.1 IPPA-ის ფაზების პროტოკოლები ........ 15
      5.1.2 ფაზა 1 - მონაწილეობა ტყის მართვის გეგმის მომზადებაში ........ 21
      5.1.3 ფაზა 2 ტყის მართვის დაგეგმვისთვის საველე სამუშაოებში მონაწილეობა ........ 45
      5.1.4 ფაზა 3: მონაწილეობა ტყის მართვის გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაში ........ 55
   5.2 IPPA მეთოდოლოგიის დიაგრამა ........ 68
6. აუცილებელი რესურსები და შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება ........ 69
7. კანონმდებლობა ........ 70
8. რეკომენდაციები ........ 71
9. დასკვნა ........ 74


# 1. აბრევიატურები

| | |
|---|---|
| ADC | ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა |
| CENN | კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი |
| DES | გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| ES | ეკოსისტემური სერვისები |
| FMP | ტყის მართვის გეგმა |
| GIZ | გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება |

| | |
|---|---|
| IPPA | საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომა |
| LAC | ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო |
| LAG | ადგილობრივი განვითარების ჯგუფი |
| LoP | მონაწილეთა სია |
| MEPA | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| NFA | ეროვნული სატყეო სააგენტო |
| NGO | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| SFM | ტყის მდგრადი მართვა |

## 2. რეზიუმე

საქართველოსთვის „ტყის კოდექსის" მიღება, რომელშიც პრიორიტეტი ტყის რესურსების მდგრად მართვას და ამავდროულად ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვასა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფას ენიჭება, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. „ტყის კოდექსში" განსაკუთრებული ყურადღება ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობის ვალდებულებას ეთმობა, რაც ტყის მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში ადგილობრივი თემების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, არსებულ პროცესებში ტყეზე დამოკიდებული თემების საჭიროებები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული, რაც ტყის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ პოტენციურ კონფლიქტებს განაპირობებს.

ამ ხარვეზების გამოსასწორებლად CENN-მა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის" პროექტთან (ECO.GEORGIA) და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, გამოცადა და დახვეწა საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომა (IPPA). აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველყოფასა და ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობას საზოგადოების ინკლუზიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაწილეობით. 2023 წელს CENN-მა, დაინტერესებული მხარეების თანაბარი ჩართულობის, კონფლიქტების პრევენციისა და მეტი სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღების, მათ შორის გენდერული თანასწორობისა და სიღარიბის შემცირების, უზრუნველსაყოფად, IPPA მოდელის გამოცდა დაიწყო.

IPPA წარმოადგენს ტყის მდგრადი მართვის პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე, მათ შორის დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების, ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკებისა და ა.შ., დროს საზოგადოების გაუმჯობესებული ჩართულობის პროტოკოლებს. შეხვედრების, საველე სამუშაოებისა და საჯარო კონსულტაციების მეშვეობით ადგილობრივ თემებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ტყეების მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. საბოლოო მიზანს ისეთი ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს, რომელიც ტყის მართვის

გეგმებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებასა და გრძელვადიან პერსპექტივაში სარგებლის მიღებას უზრუნველყოფენ.

ამ პროცესის უმნიშვნელოვანეს ელემენტს ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) - ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და თემებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა წარმოადგენს. IPPA-ს მიზანია, შეიქმნას ისეთი მდგრადი და მონაწილეობითი ჩარჩო, რომელიც საქართველოში ტყეების წარმატებით მართვას გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს.

## 3. საჭირო ინფორმაცია და პროექტის ჩარჩო

2020 წელს საქართველომ „ტყის კოდექსი" მიიღო. ეს არის ტყის რესურსების მართვისა და შენარჩუნების ვალდებულების შესრულების მიმართულებით ქვეყნის მიერ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი. კოდექსში ხაზგასმულია ტყის ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა. კოდექსი ყურადღებას ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობაზე ამახვილებს. ის ტყის მართვის გეგმების მომზადების პროცესში ხელისუფლებას ადგილობრივ თემებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობას ავალდებულებს, რაც ტყის რესურსებისა და მართვის ღონისძიებების შესახებ ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებას უზრუნველყოფს.

„ტყის კოდექსი" ხაზს უსვამს ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელობას და მას ტყის მართვის დაგეგმვისა და განხორციელების ფუნდამენტურ კომპონენტად განიხილავს. მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესების ხელშესაწყობად არსებული modus operandi მოითხოვს რიგი ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, როგორიცაა გაცნობითი შეხვედრები, საველე კითხვარები და საჯარო პრეზენტაციები. ეს ღონისძიებები მიზნად ისახავენ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას და ტყის მართვაში ისეთი მონაწილეობითი მიდგომების დანერგვის ხელშეწყობას, რომლებიც დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ინტერესებსა და მოსაზრებებს ითვალისწინებენ.

თუმცა, „ტყის კოდექსის" დებულებების მიუხედავად, ტყის მართვის არსებული პროცესი ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ინტერესებსა და საჭიროებებს, განსაკუთრებით ეკოსისტემურ სერვისებზე მათ დამოკიდებულებას, სრულად ვერ ითვალისწინებს. აღნიშნულმა გარემოებამ, შესაძლოა, ტყის მართვის გეგმების განხორციელებისას კონფლიქტები გამოიწვიოს. ყურადღება, რომელიც პოლიტიკურ პროცესში რიგითი მოქალაქეების პასუხისმგებლობების გაფართოებას ეთმობა, ხაზს უსვამს იმ ზემოქმედებების გათვალისწინების მნიშვნელობას, რომლებსაც ეს პროცედურები პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და მათში ჩართულ პირებზე მოახდინენ და შესაძლოა მოახდინონ. საზოგადოების ჩართულობისა და მონაწილეობითი მიდგომების არსებული მექანიზმები და ინსტრუმენტები სრულყოფას საჭიროებენ; ადგილობრივ თემებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ

ინფორმირებულობისა და ტექნიკური შესაძლებლობების ის ხარისხი, რომელიც აუცილებელია ტყის მართვის დაგეგმვაში მათი ეფექტიანი მონაწილეობისათვის.

ECO.Georgia პროექტის 2023 წლის დოკუმენტის[1] თანახმად, არსებული ვითარება შემდეგნაირად გამოიყურება:




*ნახ. 1: ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართულობის საბაზისო მდგომარეობა*

ECO.Georgia პროექტის ფარგლებში, 2023 წელს CENN-მა, GIZ-ისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ტყის მდგრადი მართვის პროცესებში დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდისა და საზოგადოების მიზანმიმართული მონაწილეობის განხორციელების მიზნით შემუშავებული საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობის მოდელის გამოცდა დაიწყო. ახალი მიდგომა (ნახ. 2) შემუშავებულია ტყის მართვის პროცესებში ტყეზე დამოკიდებული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გასაძლიერებლად. აღნიშნული მიდგომის გამოყენება შეუძლია ეროვნულ სატყეო სააგენტოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივ

[1] კონცეფცია: საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობა საქართველოში ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ECO.Georgia, GIZ, 2023 წ.

მუნიციპალიტეტებს ტყეების მართვის უფრო ინკლუზიური და მდგრადი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.




ნახ. 2: ტყის დაგეგმვასა და განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის ახალი მიდგომა[2]

საზოგადოების ასეთი გაუმჯობესებული მონაწილეობით რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზანი მიიღწევა:

1. **საზოგადოების ინფორმირებული მონაწილეობა:** ადგილობრივი თემებისთვის შესაბამის ინფორმაციაზე, როგორიცაა, მაგალითად, ტყის მართვის სხვადასხვა სახის პრაქტიკის ზემოქმედება მათ საარსებო საშუალებებზე, წვდომის უზრუნველყოფა.
2. **ადგილობრივი დონეზე ცოდნის ხარისხის გაუმჯობესება:** უფრო ეფექტიანი და კონკრეტული ადგილებისთვის შესაფერისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობა ტყის მდგრადი მართვის განხორციელების შესახებ ადგილობრივი დონეზე ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების გზით.
3. **მდგრადი გადაწყვეტილებების მიღება:** წვლილის შეტანა ტყის მდგრადი მართვის პროცესის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული და კონკრეტული ადგილებისთვის შესაფერისი გადაწყვეტილებების მიღების გზით.
4. **გენდერული თანასწორობა და სიღარიბის შემცირება:** გენდერული თანასწორობისა და მგრძნობელობის ხელშეწყობა და სიღარიბის შემცირება ქალების მონაწილეობისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობების მიზანმიმართულად გაძლიერების გზით.

---
[2] იქვე

სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) თანახმად, დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანი ჩართულობა გულისხმობს ისეთი კერძო პირებისა ან ჯგუფების ჩართულობას, რომლებსაც ტყის მართვის საქმიანობებში საკუთარი ინტერესები აქვთ. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებას, ბიომრავალფეროვნების დაცვის გაუმჯობესებასა და ტყის რესურსებიდან მიღებული სარგებლის ზრდას განაპირობებს. როდესაც ტყის მართვის გეგმები შეთანხმებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათი განხორციელებისას ნაკლებ რისკები და კონფლიქტები წარმოიქმნება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის დამატებითი ხარჯების თავიდან აცილებას. ტყის მონაწილეობითი მართვა ასევე ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და კულტურული ობიექტების დაცვას, ვინაიდან ადგილობრივ მოსახლეობას ამ ელემენტების შესახებ მეტი ინფორმაცია აქვს.

# 4. IPPA დოკუმენტის მეთოდოლოგიის გამოცდა

საქართველოში ტყეების მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის გაუმჯობესება ეტაპობრივი, გრძელვადიანი პროცესია, რომელიც თითოეულ ეტაპზე კორექტირებას მოითხოვს. მის საბოლოო მიზანს "ერთობლივი გადაწყვეტილებებისა და ერთობლივი შესრულების" დონის მიღწევა წარმოადგენს, რომელზეც ძალაუფლება ტყის მართვაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის თანაბრად არის გადანაწილებული. ასეთი ბალანსის დამყარებით რამდენიმე დადებითი შედეგი მიიღწევა:

- კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების მექანიზმების გაუმჯობესება
- ტყის მართვაში სოციალური და გარემოსდაცვითი მექანიზმების უკეთ შესრულება
- ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, თემების უფლებებისა და შესაძლებლობების ზრდა
- რეგიონული ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობების გაზრდის გზით

ტყის მართვის მუნიციპალური სისტემების შექმნა ამ მიზნის მიღწევის გზაზე მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება. მათი სრულად ამოქმედება უახლოეს წლებში ივარაუდება. თუმცა, საქართველოში არსებული როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ინსტიტუციური წინაღობების გამო საზოგადოების მონაწილეობის დონე დაბალია. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად და დაინტერესებული მხარეების უფრო აქტიურად ჩასართავად პირობების შესაქმნელად აუცილებელია გარკვეული შუალედური ნაბიჯების გადადგმა.

ამისათვის ეროვნულ სატყეო სააგენტოში, სამოქალაქო საზოგადოებაში, მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში ახალი მიდგომების წასახალისებლად აუცილებელია მონაწილეობის ინოვაციური ფორმატების დანერგვა. ეს ახალი ფორმატები შეასრულებენ ცვლილებების კატალიზატორის ფუნქციას, წაახალისებენ თანამშრომლობას და შეცვლიან ძალაუფლების არსებულ დინამიკას.

2023 წლიდან CENN-მა, GIZ-თან, ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით დაიწყო ნახ.2-ზე წარმოდგენილი ახალი მეთოდოლოგიის გამოცდა.

კერძოდ, პროცესი ორიენტირებული იყო საზოგადოების მონაწილეობის პროცესის შეფასებაზე და მის შედეგებზე და ჰქონდა ორი ძირითადი მიზანი:

- მონაწილეობითი პროცესების ანალიზი.
- IPPA გამოცდის ფაზის მიმოხილვა.

ახალი მიდგომის გამოცდის შედეგად მიღებულ იქნა ინფორმაცია, რომელიც დაჯგუფდა ნახ. 2-ზე - ტყის დაგეგმვასა და განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის ახალი მიდგომა - წარმოდგენილ საკითხებად ან თემებად: თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის გამოყენება თითოეული საკითხის გადაწყვეტის პროცესის შესაფასებლად; გამოკითხვების ჩატარება; და ანალიზისთვის შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება:

*საქართველოში ტყეების მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობის* გამოცდის კრიტერიუმები

1. საჯარო კონსულტაციების პროცესის დაწყების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდება.
2. მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება ტყეზე დამოკიდებული დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისა და ჩართვის მიზნით და მათთან აქტიური მუშაობა „ფართო საზოგადოების“ ჩართვის ნაცვლად. სხვადასხვა საკონსულტაციო ფორმატების გამოყენება ჩართულობის გასამლიერებლად და ეფექტიანობის ასამაღლებლად. მაგალითად, პროცესის მიმდინარეობისას პირისპირ ან ონლაინ შეხვედრების, ფოკუს ჯგუფების, კონფერენციების, გამოკითხვების (ფიზიკური ან ონლაინ) ჩატარება და კომენტარების შეგროვება ვებ.გვერდების ან სოციალური მედიის მეშვეობით.
3. საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კრიტერიუმებით ფასდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის ონლაინ პლატფორმებითა (ოფიციალური ვებგვერდები, სოციალური მედია) და ტრადიციული მედია საშუალებებით (გაზეთი, ტელევიზია, ლიფლეტები), კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ჩატარებული სამუშაო. აღსანიშნავია, რომ პოტენციური დაინტერესებული მხარეებისათვის შეტყობინებების მხოლოდ ელექტრონული ფოსტით გაგზავნა საზოგადოების ჩართულობის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს.
4. შეფასება იმისა, არის თუ არა ტყის მართვის გეგმა საჯაროდ ხელმისაწვდომი და შეუძლიათ თუ არა დაინტერესებულ პირებს ან ორგანიზაციებს დოკუმენტების ადვილად, სწრაფად და ოპერატიულად მიღება.
5. შეფასება იმისა, წარმოდგენილი იყო თუ არა ტყის მართვის გეგმა მკაფიო და ადვილად გასაგებ ენაზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ტყის მართვის გეგმები მარტივი ენით უნდა წეროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის არსის გაგება სპეციალური სახის ცოდნას საჭიროებს.

6. საჯარო კონსულტაციების/განხილვების მონაწილეები აზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს ტყის მართვის გეგმასთან ან სემინარის/შეხვედრის საკითხთან დაკავშირებით.
7. ფართო აუდიტორიის ჩასართავად მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. სხვადასხვა საკონსულტაციო ფორმატების გამოყენება ჩართულობის გასაძლიერებლად და ეფექტიანობის ასამაღლებლად. მაგალითად, პროცესის მიმდინარეობისას პირისპირ ან ონლაინ შეხვედრების, ფოკუს ჯგუფების, კონფერენციების, გამოკითხვების (ფიზიკური ან ონლაინ) ჩატარება და კომენტარების შეგროვება ვებ.გვერდების ან სოციალური მედიის მეშვეობით.
8. მოსაზრებებისა და კომენტარების შეგროვების მრავალფეროვანი მექანიზმები: დოკუმენტზე გაკეთებული წერილობითი კომენტარები, ვებ.გვერდზე ან სოციალურ მედიაში გამოთქმული მოსაზრებები; საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან ტელეფონით შემოსული კომენტარები; შეხვედრების დროს გამოთქმული მოსაზრებები; და წერილობითი გამოხმაურება ელექტრონულ ქსელებში, Google ფორმებში ან სხვა ფორმატის ონლაინ გამოკითხვებში.
9. კონსულტაციები ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებთან (LAC) ტყის მართვის გეგმების ეტაპებთან დაკავშირებით. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ტყის მართვის გეგმების მომზადების ადრეულ ეტაპებზე მათ ამ გეგმებში არსებითი წვლილის შეტანის შესაძლებლობას აძლევს.

IPPA-ს გამოცდის მეთოდოლოგია:

- მიღებული მოსაზრებებისა და კომენტარების კატეგორიზაცია თემების ან საკითხების მიხედვით საერთო პრობლემების გამოსავლენად.
- თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის გამოყენება საკითხების მნიშვნელოვნებისა და გავრცელებადობის შესაფასებლად.
- მიღებული მოსაზრებებისა და კომენტარების პრიორიტეტიზაცია IPPA-ს გამოცდის ეტაპზე მათი გავლენის მიხედვით.
- გამოკითხვების ჩატარება ყველა საჯარო კონსულტაციაზე.

გამოცდის პროცესში მთავარ კითხვას წარმოადგენდა:

- როგორ უნდა გაუმჯობესდეს მონაწილეობის ფორმატები და პროცესები იმისათვის, რომ ტყეების მდგრადი მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების წვლილის ღირებულება და გავლენა მაქსიმალურად გაზარდოს?
- როგორ უნდა განხორციელდეს IPPA და როგორ უნდა გადანაწილდეს უფლებები და ვალდებულებები პასუხისმგებელ მხარეებს შორის (ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი თემები)? გარდა ამისა, როგორი მექანიზმებია საჭირო IPPA-ს ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად და კონკრეტულად რომელი მექანიზმები იქნება ყველაზე ეფექტიანი?

შედეგად, შემუშავდა კონკრეტული პროტოკოლები და ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის ახალ მიდგომაში შევიდა ცვლილებები

როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ინსტიტუტების საჭიროებების გათვალისწინებით.

წინამდებარე დოკუმენტის მთავარი მიზანია, გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში, სხვადასხვა მექანიზმის ყველა ფაზის შესაბამისი ინსტრუმენტებითა და პროტოკოლებით ეროვნული სატყეო სააგენტოს უზრუნველყოფის გზით.

## 5. IPPA-ს განახლებული პროტოკოლი

გარემოსდაცვით დაგეგმვაში საზოგადოების უფრო აქტიური ჩართულობის აუცილებლობა ფართოდ არის აღიარებული. ამაზე საუბარია როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ პოლიტიკურ დოკუმენტებში, და მას გარემოსდაცვითი ორგანიზაციები და ადგილობრივი თემებიც უჭერენ მხარს. საზოგადოების უფრო აქტიური ჩართულობისკენ მოწოდება ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპს, რომლის თანახმადაც ადამიანებს აქვთ უფლება, ჩაერთონ საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გადაწყვეტილების მიღების პროცესების ხელმისაწვდომობაზე, მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობასა და პოლიტიკის შედეგებზე საზოგადოების ჩართულობის გავლენის უზრუნველყოფაზე.

საზოგადოების მონაწილეობა განიხილება, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების საზოგადოების ღირებულებებსა და სურვილებთან შესაბამისობაში მოყვანის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოკრატიული მიდგომების თანახმად, ექსპერტებს თავად შეუძლიათ საზოგადოების ღირებულებების განსაზღვრა და პოლიტიკურ პროცესში მათი გათვალისწინება, ასეთი მეთოდების გამოყენებისას არსებობს მიკერძოების, წინასწარი დათქმებისა და შესაძლო მანიპულაციების საფრთხე. სპეციალიზებული ცოდნის გარეშე დაინტერესებული მხარეები ხშირად ასეთი ვითარებაში ზარალდებიან. შესაბამისად, საზოგადოების ღირებულებებისა და პოლიტიკის ერთმანეთთან დაახლოების საქმეში ტექნოკრატიული მიდგომები საზოგადოების პირდაპირ ჩართულობას ვერ ჩაანაცვლებს.

გარდა ამისა, საზოგადოების მონაწილეობა მხოლოდ შედეგების გაუმჯობესების ინსტრუმენტი არ არის - ის ფუნდამენტური უფლებაცაა. ადამიანებს პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ხმის უფლება აქვთ და მათი ხმის უფლების წართმევა ტექნოკრატიული მეთოდებით არ უნდა მოხდეს. ამ თვალსაზრისით, საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკური პროცესის ლეგიტიმურობის ძირითადი საზომია.

ისეთ სტრატეგიებს ან პოლიტიკას, რომლებსაც გავლილი აქვთ მნიშვნელოვანი პროცესები საზოგადოების მონაწილეობით, საზოგადოების მიერ უკეთ მიღებისა და კონფლიქტების ნაკლებად წარმოქმნის მეტი შანსი აქვთ, რაც ხელისუფლების ინსტიტუტების ეფექტიანობისა და შედეგიანობის ზრდას უწყობს ხელს.

საზოგადოების მონაწილეობის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას ისიც, რომ პოლიტიკის განხორციელების ეფექტიანობა და საზოგადოების მონაწილეობა უკეთეს შედეგებს

განაპირობებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ერთმანეთთან კავშირშია და რომ საზოგადოების მონაწილეობა არა მხოლოდ საზოგადოებრივი ღირებულებების გათვალისწინებას უნდა ემსახურებოდეს, არამედ ხელს უნდა უწყობდეს პოლიტიკის განხორციელებასაც. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკის განხორციელების ეფექტიანობას. საზოგადოების აქტიური მონაწილეობის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნას ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად საზოგადოების პრიორიტეტები და ადგილზე არსებული ცოდნა, რომელიც, შესაძლოა, სახელმწიფო უწყებებს არ გააჩნდეს. ასეთი ადგილობრივი ხედვა ხელს უწყობს ისეთი მოვლენების განვითარების თავიდან აცილებას, რომლებიც, შესაძლოა, ცენტრალიზებული დაგეგმვის შედეგად წარმოიქმნას. უფრო მეტიც, საზოგადოების მონაწილეობის აუცილებლობის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მას პოლიტიკურ პროცესში კონფლიქტების შემცირების პოტენციალი აქვს. დაინტერესებული მხარეების ადრეულ ეტაპებზე ჩართვით შესაძლებელია მომდევნო ეტაპებზე წარმოქმნილი უთანხმოებების, შეფერხებებისა თუ წარუმატებლობის თავიდან აცილება.

## 5.1 საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომა (IPPA) – პროტოკოლები

ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის ახალი მიდგომა 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის აგვისტომდე პერიოდში გამოიცადა. ამ მიზნით ჩატარდა შეხვედრების რიგი დაინტერესებულ მხარეებთან, მომზადდა მასალები და გამოვლინდა ის ყველაზე ეფექტიანი პროტოკოლები, რომელთა განხორციელება შეუძლია ეროვნულ სატყეო სააგენტოს ტყის მართვის გეგმების მომზადებაში ადგილობრივი თემების ჩართვისა და მომდევნო ეტაპებზე მათი მონაწილეობის კუთხით მაქსიმალური ეფექტის მისაღებად. შედეგად ნახ.2-ში შემდეგი ცვლილებები შევიდა:

| ნახ. 3: საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომის განახლებული ვერსია | | | | პროცესის წამყვანი უწყებებია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ეროვნული სატყეო სააგენტო<br>მუნიციპალიტეტები |
|---|---|---|---|---|
| მონაწილეობის ღონისძიებები და ფორმატები | დაინტერესებული მხარეების ანალიზი და იდენტიფიცირება | ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკება | ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა ფოკუს ჯგუფებში დისკუსიების ჩატარების გზით | LAC-ების რეგულარული შეხვედრები საჭიროებიდან გამომდინარე და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან (ცვლილებები ტყის მართვის გეგმაში) |
| | გაცნობითი შეხვედრა LAC-ების შესაქმნელად | ფოკუს ჯგუფების სემინარებისა და დისკუსიების ჩატარება | | |
| | LAC-ების შექმნა | ტყის საზღვრების შესახებ უწყებათაშორისი შეთანხმება როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების დაკომპლექტება | | ტყის მართვის გეგმის გამოქვეყნება (5 დღე) და მასზე კომენტარების მიღებისა და დამუშავების შესაძლებლობა (40 დღე) | | |
| | ცნობიერების ამაღლების კამპანია | | | | |
| | | | | | |
| | გახსნითი შეხვედრა | ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებული საველე სამუშაოების შედეგების სემინარი | ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის საჯარო განხილვა | | |
| **ტყის მართვის გეგმის ეტაპები** | მონაწილეობა ტყის მართვის გეგმის მომზადებაში (2-3 თვე) | ტყის მართვის დაგეგმვისთვის საველე სამუშაოებში მონაწილეობა (4-7 თვე) | მონაწილეობა ტყის მართვის გეგმის მომზადებასა და დამტკიცებაში (3 თვე) | | ტყის მართვის გეგმის განხორციელება და მონიტორინგი (10 წელი) |
| | | | | | |

მომდევნო თავში დეტალურად არის განმარტებული თითოეული ფორმატის პროტოკოლები.

## 5.1.1 IPPA-ის ფაზების პროტოკოლები

ახალი მექანიზმი ითვალისწინებს რამდენიმე ახალი ფორმატის დანერგვას ტყის მართვის გეგმის მომზადებისა და განხორციელების პროცესში. ფორმატების დეტალები მოცემულია შემდეგ ცხრილებში ფაზების მიხედვით:

| **ფორმატის სახელწოდება** | **მიზნები** | **ჩართული დაინტერესებული მხარეები** | **საჭირო რესურსები** | **ხანგრძლივობა** |
|---|---|---|---|---|
| **ფაზა 1 - მონაწილეობა ტყის მართვის გეგმის მომზადებაში**<br>**ხანგრძლივობა: 3 თვე** | | | | |
| 1. დაინტერესებული მხარეების ანალიზი და იდენტიფიცირება | შესაბამის სატყეო უბანში დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების ტყეზე დამოკიდებულების ანალიზი და იმ დაინტერესებული მხარეების დადგენა, რომლებიც გათვალისწინებული იქნებიან მონაწილეობით მიდგომაში. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | ეროვნული სატყეო სააგენტოს / გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 ან 2 თანამშრომელი | 25 დღე |
| 2. გაცნობითი შეხვედრა LAC-ების შესაქმნელად | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს/ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ადგილობრივ მერიებს შორის პოლიტიკური პროცესის დაწყება. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმირება ტყის მართვის გეგმების | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის | • ლეპტოპი და პროექტორი<br>• PPT პრეზენტაცია ტყის მდგრად მართვაზე | 14 დღე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მიზნებისა და პროცესის, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნის, გახსნითი შეხვედრის, ეკოსისტემური სერვისების დარუკებისა და ა.შ. შესახებ. | მეურნეობის სამინისტრო<br><br>მეორე რიგის წამყვანი უწყება: მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მოწვეული დაინტერესებული მხარეები: სოფლების რწმუნებულები, მერიის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), და სხვ. | • საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია<br>• ბეჭდური დასარიგებელი მასალა ტყის მართვის გეგმის შესახებ<br>• საზოგადოების მობილიზებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, ეროვნული სატყეო სააგენტოდან და მერიიდან | |
| 3. ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნა | ტყის მართვის გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის თანმდევი ჯგუფის შექმნა. ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) უნდა იყოს ფორმალური/ინსტიტუციონალიზებული ერთეული მერიის მმართველობის სისტემის ფარგლებში. | წამყვანი უწყება: მუნიციპალიტეტის მერია<br><br>მეორე რიგის წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | • დადგენილება ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნის შესახებ | 20 დღე |
| 4. დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების დაკომპლექტება | დაინტერესებული მხარეების ანალიზისა და LAC-ების საფუძველზე დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების შერჩევა და ჯგუფებში გადანაწილება. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC).<br><br>მეორე რიგის წამყვანი უწყება: კონტრაქტორი კომპანია (LAC-თან თანამშრომლობით) ეროვნული სატყეო სააგენტოს დასახმარებლად. | ეროვნული სატყეო სააგენტოს / გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 ან 2 თანამშრომელი, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) | 5 დღე |
| 5. ცნობიერების ამაღლების კამპანია | საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის დაწყების, მისი მიზნებისა და პროცესში მათი ჩართვის შესაძლებლობის შესახებ. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის | • ლეპტოპი და პროექტორი<br>• PPT პრეზენტაცია ტყის მდგრად მართვაზე | 14 დღე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სამინისტრო, მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC).<br><br>მოწვეული დაინტერესებული მხარეები: სოფლების რწმუნებულები, მერიის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), და სხვ. | • საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია<br>• ბეჭდური დასარიგებელი მასალა ტყის მართვის გეგმის შესახებ<br>• საზოგადოების მობილიზებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, ეროვნული სატყეო სააგენტოდან და ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოდან (LAC) | |
| 6. გახსნითი შეხვედრა | ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის ოფიციალურად დაწყება მუნიციპალიტეტის ფარგლებში. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC)<br><br>მოწვეული დაინტერესებული მხარეები: სოფლების რწმუნებულები, მერიის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა/ დაინტერესებული მხარეების ყველა გამოვლენილი ჯგუფის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), და სხვ. | • ლეპტოპი და პროექტორი<br>• PPT პრეზენტაცია ტყის მდგრად მართვაზე<br>• საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია<br>• ბეჭდური დასარიგებელი მასალა ტყის მართვის გეგმის შესახებ<br>• საზოგადოების მობილიზებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, ეროვნული სატყეო სააგენტოდან და ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოდან (LAC)<br>• ტყეების ბეჭდური რუკები | 14 დღე |
| **ფაზა 2: ტყის მართვის დაგეგმვისთვის საველე სამუშაოებში მონაწილეობა**<br>**ხანგრძლივობა: 4-7 თვე** | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკება | ეს იძლევა ადგილობრივ და სივრცით მასშტაბში ეკოსისტემების გამოყენებისა და ღირებულებების უფრო ზუსტად დარუკების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ადგილობრივ ცოდნაზე დამყარებულ ინფორმაციას ტყეების მართვის გეგმებისათვის. ინსტრუმენტი უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების ინტერესების გამოვლენას, სივრცითი ფორმით მათ დარუკებას და გათვალისწინებას ტყის მართვის გეგმების მომზადებისას. ამ გზით ის ხელს უწყობს შესაძლო კონფლიქტების გამოვლენასა და მათ თავიდან აცილებას. ეკოსისტემური სერვისების შეფასებისა და დარუკების კონტექსტში, LAC-ები, ადგილობრივი მოსახლეობა და ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლები წარმოადგენენ სივრცითი თვალსაზრისით ზუსტ ინფორმაციას ეკოსისტემური სერვისების არსებობის, გამოყენებისა და ღირებულების (როგორც ფულადი, ისე არაფულადი) შესახებ. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC)<br><br>მოწვეული დაინტერესებული მხარეები: სოფლების რწმუნებულები, მერიის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა/ დაინტერესებული მხარეების ყველა გამოვლენილი ჯგუფის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC), ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლები, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. | • მუნიციპალიტეტის ტერიტორიების ბეჭდური რუკები<br>• ლეპტოპი და პროექტორი<br>• Google Earth<br>• PPT პრეზენტაცია ეკოსისტემური სერვისებისა და მათი დარუკების შესახებ<br>• საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია<br>• წებოვანი ფურცლები<br>• დაფა<br>• მარკერები | 60 დღე |
| 2. ფოკუს ჯგუფების სემინარებისა და დისკუსიების ჩატარება | ეკოსისტემური სერვისების დარუკების შედეგების წარდგენა და დადასტურება, ადგილობრივ დონეზე არსებული დამატებითი ინფორმაციის შეგროვება და საჭიროებების დადგენა და ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული პოტენციური კონფლიქტებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების დოკუმენტურად დაფიქსირება. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC)<br><br>მოწვეული დაინტერესებული მხარეები: სოფლების რწმუნებულები, | • ლეპტოპი და პროექტორი<br>• Google Earth<br>• PPT პრეზენტაცია ეკოსისტემური სერვისებისა და მათი დარუკების შედეგების შესახებ<br>• საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია | 30 დღე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | მერიის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC), ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლები, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. | | |
| 3. ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებული საველე სამუშაოების შედეგების სემინარი | საველე სამუშაოების შედეგების წარდგენა და განხილვა, ეკოსისტემური სერვისების დარუკების შედეგების გათვალისწინებით, აგრეთვე ტყის მდგრად მართვაზე მათი გავლენის, ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაძლო კონფლიქტების და ტყის მართვის გეგმის შემუშავების მომდევნო ეტაპების წარდგენა. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>მოწვეული დაინტერესებული მხარეები: სოფლების რწმუნებულები, მერიის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC), ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლები, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. | • ლეპტოპი და პროექტორი<br>• Google Earth<br>• PPT პრეზენტაცია საველე სამუშაოების შედეგების და ტყის მართვის გეგმის შემუშავების მომდევნო ეტაპების შესახებ<br>• საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია | 30 დღე |
| **ფაზა 3: მონაწილეობა ტყის მართვის გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაში**<br>**ხანგრძლივობა: 3 თვე** | | | | |
| 1. ტყის საზღვრების შესახებ უწყებათაშორისი შეთანხმება როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე | სახელმწიფო უწყებებთან (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, საჯარო რეესტრი, მუნიციპალიტეტები, და სხვ.) შეთანხმების მიღწევა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საზღვრები, ლიცენზიები, და სხვ. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მერია | • საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია<br>• ლეპტოპი და პროექტორი<br>• PPT პრეზენტაცია ტყის საზღვრების, | 10 დღე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ლიცენზიებისა, და სხვ. შესახებ. | |
| 2. ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა ფოკუს ჯგუფებში დისკუსიების ჩატარების გზით | ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტის და ტყის მდგრად მართვაზე მისი გავლენის, აგრეთვე ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაძლო კონფლიქტების წარდგენა და განხილვა. დაინტერესებული მხარეებისგან მოსაზრებებისა და ინფორმაციის შეგროვება. ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მიერ ტყის მართვის გეგმის ერთობლივად განხორციელების მიზნით ადგილობრივი ინიციატივების იდენტიფიცირება და დახმარების შესაძლო მექანიზმებზე შეთანხმება. ტყის მართვის გეგმაში შეთანხმებების გათვალისწინების გადამოწმება, ხოლო მათი არგათვალისწინების შემთხვევაში - მიზეზის დადგენა. ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიაზე დაინტერესებული მხარეების შესაბამის ჯგუფებთან შეთანხმების მიღწევა და საბოლოო გადაწყვეტილებებისა და შეუთანხმებელი საკითხების დაფიქსირება. | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამინისტრო, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC)<br><br>მოწვეული დაინტერესებული მხარეები: სოფლების რწმუნებულები, მერიის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლები, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. | • საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია<br>• ლეპტოპი და პროექტორი<br>• PPT პრეზენტაცია ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტის შესახებ | 20 დღე |
| 3. ტყის მართვის გეგმის გამოქვეყნება (5 დღე) და მასზე კომენტარების მიღებისა და დამუშავების შესაძლებლობა (40 დღე) | ტყის მართვის გეგმის გასაჯაროება შესაბამისი მუნიციპალიტეტის დაინტერესებული მხარეებისთვის მათგან დამატებითი კომენტარების მისაღებად.<br><br>გამოქვეყნების შემდეგ მიღებული კომენტარების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინება და/ან მათი არგათვალისწინების შემთხვევაში დასაბუთებული პასუხის გაცემა | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) | • ეროვნული სატყეო სააგენტოს / გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 ან 2 თანამშრომელი, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) | 40 დღე |
| 4. ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის საჯარო განხილვა | მუნიციპალიტეტის ფართო საზოგადოებისთვის ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის ოფიციალურად წარდგენა და განხილვა და დამატებითი კომენტარების შეგროვება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მერია, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) | • საკონფერენციო დარბაზი<br>• მონაწილეთა სია<br>• ლეპტოპი და პროექტორი<br>• PPT პრეზენტაცია ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიაზე<br>• წებოვანი ფურცლები<br>• დაფა<br>• მარკერები | 20 დღე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | • ბეჭდური დასარიგებელი მასალა ტყის მართვის გეგმის შესახებ<br>• მიკროფონები | |
| **ფაზა 4: ტყის მართვის გეგმის განხორციელება და მონიტორინგი (10 წელი)**<br>**ხანგრძლივობა: 10 წელი** | | | | |
| 5. LAC-ების რეგულარული შეხვედრები საჭიროებიდან გამომდინარე და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებთან (ცვლილებები ტყის მართვის გეგმაში) | ტყის მართვის გეგმის განხორციელების მონიტორინგი და ადგილობრივი მოსახლეობისგან საჩივრების მიღების პირველი საკონტაქტო პუნქტის ფუნქციის შესრულება.<br>აქტიური მონაწილეობა წლიური გეგმების მომზადებაში | წამყვანი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მერია, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) | • | 10 დღე |

## 5.1.2 ფაზა 1 - მონაწილეობა ტყის მართვის გეგმის მომზადებაში

ხანგრძლივობა: 3 თვე

### 1. დაინტერესებული მხარეების ანალიზი და იდენტიფიცირება

**მიზანი**: შესაბამის სატყეო უბანში დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების ტყეზე დამოკიდებულების ანალიზი იმ დაინტერესებული მხარეების დადგენა, რომლებიც გათვალისწინებული იქნებიან მონაწილეობით მიდგომაში.

**ხანგრძლივობა:** 25 დღე

ტყის მართვის გეგმების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ პირველი ნაბიჯს დაინტერესებული მხარეების დადგენა და იდენტიფიცირება წარმოადგენს. დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესებისა და ტყის მართვის გეგმების განხორციელების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეებთან წარმატებული მუშაობა საკითხების ლეგიტიმაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს შორის კოორდინაციას.

სატყეო სექტორი, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა ხარისხის გავლენებისა და ინტერესების მქონე დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი, რთული და დინამიური გარემოთი ხასიათდება. დაინტერესებული მხარეების შეიძლება იყვნენ როგორც მტრულად განწყობილი ან ობსტრუქციული (ახალი პასუხისმგებლობების მოწინააღმდეგე) პირები, ასევე მორიგებისა და თანამშრომლობის მომხრე. ასეთი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, აუცილებელია ჩართულობის ისეთი მოქნილი, ადაპტირებადი და ხშირ შემთხვევაში სპეციალიზებული ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც თითოეულ ჯგუფთან წარმატებულ ურთიერთქმედებას უზრუნველყოფენ. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია დაინტერესებული

მხარეების კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია, რაც დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანი ჩართულობის წინაპირობას წარმოადგენს.

დაინტერესებული მხარეების ანალიზი შეიძლება რამდენიმე პარამეტრის მიხედვით ჩატარდეს, მათ შორის, მათი მნიშვნელოვნება (მათი როლის მნიშვნელობა), ღირებულებათა სისტემა (მათი პოზიცია და ღირებულებები) და ქსელი (მათი კავშირები და გავლენა სექტორის ფარგლებში). ეს ელემენტები თითოეული დაინტერესებული მხარის განსხვავებული ინტერესებისა და პოტენციური ზემოქმედების დადგენაში გვეხმარება.

სატყეო სექტორში დაინტერესებულ მხარედ სუბიექტების ფართო სპექტრი ითვლება, მათ შორის ფიზიკური პირები, ადამიანთა ჯგუფები, უბნები, ორგანიზაციები, ინსტიტუტები, საზოგადოებები და ბუნებრივი გარემოც კი. ზოგადად, სატყეო სექტორში იდენტიფიცირებულია დაინტერესებული მხარეების შემდეგი ჯგუფები:

- ადგილობრივი თემები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- სახელმწიფო უწყებები (მერია, სახელმწიფო ორგანიზაციები, და სხვ.)
- კერძო სექტორის სუბიექტები
- სამეცნიერო წრეები
- რელიგიური დაწესებულებები

დაინტერესებულ მხარეებს შორის ძირითად განმასხვავებელ ფაქტორს წარმოადგენს დაინტერესების არსებობა და მისი ხასიათი. დაინტერესებულ მხარეს უნდა ჰქონდეს „პრეტენზია“, რომ იყოს აღიარებული, როგორც დაინტერესებული მხარე, რაც ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია მოახდინოს გავლენა განსახილველ საკითხზე ან შეიძლება მისი გავლენის ქვეშ თავად მოექცეს. ამრიგად, მთავარ პრობლემას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რომელი პრეტენზია არის ლეგიტიმური და უნდა იქნას აღიარებული და რომელი - არა.

დაინტერესებული მხარეების აღწერილობითი იდენტიფიცირების შემთხვევაში გამოიყენება ინკლუზიური მიდგომა, რომელიც დაინტერესებულ მხარედ თითქმის ყველა სუბიექტს, მათ შორის საკითხიდან შორს მდგომ სუბიექტებსაც კი განიხილავს. ამ გაგებით დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი სუბიექტი, იქნება ეს ცალკეული ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი, რომელზეც გადაწყვეტილება გავლენას ახდენს, ან თავად აქვს ამ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის უნარი. დაინტერესებული მხარეების ამ განმარტების გამოყენებით ჩატარებული ანალიზი უნდა იყოს როგორც პრაგმატული, ასევე რაციონალური და რეალურ სიტუაციაზე ორიენტირებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ანალიზში გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ ფორმალური, სახელშეკრულებო ან ინსტიტუციური პრეტენზიების მქონე დაინტერესებული მხარეები, არამედ ისინიც, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურების მიღმა არსებული მორალური ან იურიდიული ინტერესები.

ასეთი ფართო მიდგომა უზრუნველყოფს ყველა შესაბამისი პირის, მათ შორის სატყეო პოლიტიკის არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების, მოსაზრებების გათვალისწინებას და ანალიზის საკმარისად ყოვლისმომცველ ხასიათს, რომელსაც შეუძლია

სექტორში არსებული ინტერესებისა და გავლენების რთული ურთიერთქმედებების მხედველობაში მიღება.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ ქალებისა და მამაკაცების ინტერესებს, ფუნქციებსა და წვლილს, რაც ხელს შეუწყობს პროცესებში ადამიანების თანასწორ მონაწილეობას და ტყის მდგრად მართვას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ დაინტერესებულ მხარეებს მარგინალიზებული ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები წარმოადგენენ, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე მცირე ან არანაირი გავლენა არ აქვთ. როგორც წესი, ხდება მათი იგნორირება, არასწორად ან არასაკმარისად წარმოჩენა. ასეთი ჯგუფების მაგალითებია: ქალები, იძულებით გადაადგილებული პირები, LGBTQI+ თემი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები, მარტოხელა/მრავალშვილიანი მშობლები და ა.შ. მარგინალიზაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებთან, როგორიცაა სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მოშორებით ცხოვრება, წვდომის არქონა, პოლიტიკური კავშირები, კულტურა და რელიგია.

**დაინტერესებული მხარეების ანალიზისა და იდენტიფიცირების პროტოკოლი**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვიღებთ შემდეგი სახის პროტოკოლს:

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I. | **ძირითადი დაინტერესებული მხარეების, პირველი და მეორე რიგის დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება** | • **ძირითადი დაინტერესებული მხარეები** - ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები ან ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ და/ან წარმოადგინოს ინფორმაცია საზოგადოების სხვა წევრებზე:<br>◦ არასამთავრობო ორგანიზაციები<br>◦ სოფლების რწმუნებულები<br>◦ მერიის თანამშრომლები<br>◦ კერძო სექტორი<br>◦ ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების წარმომადგენლები<br>• **პირველი რიგის დაინტერესებული მხარეები –** ტყეზე დამოკიდებული თემები, პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი. |

| | | |
|---|---|---|
| | | • **მეორე რიგის დაინტერესებული მხარეები** - ტყეზე დამოკიდებული თემები, არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი. |
| II. | **შიდა ანალიტიკური სამუშაოს შესრულება** | • დაინტერესებულ მხარეების განხილვა ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.<br>• პარტნიორი სახელმწიფო უწყებებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (მაგ., CENN, GIZ, GFA, და სხვ.) დაინტერესებული მხარეების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა. |
| III. | **კომუნიკაციის დაწყება** | • პირისპირ შეხვედრები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან (ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების წარმომადგენლები)<br>• სატელეფონო საუბარი ძირითად და მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან (ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების და ცენტრალური ოფისის წარმომადგენლები)<br>• ადგილობრივი მოსახლეობა ელექტრონულ ფოსტას იშვიათად იყენებს. კომუნიკაციისთვის FB ჯგუფების, ტელეფონის, სათემო ლიდერების გამოყენება.<br>• დაინტერესებული მხარეების კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნით:<br>o ტყის არამერქნული რესურსების გამოყენება<br>o ტყის მერქნული რესურსების გამოყენება<br>o მეცხოველეობა და მიწათმოქმედება<br>o სხვა |
| **შედეგი:** | | • საკონტაქტო პირებისა და გამოვლენილი დაინტერესებული მხარეების სია |

## 2. გაცნობითი შეხვედრა LAC-ების შესაქმნელად

**მიზანი**: ადგილობრივი წარმომადგენლების ინფორმირება ტყის მართვის დაგეგმვის მიზნისა და პროცესის შესახებ

**ხანგრძლივობა:** 14 დღე

**დამოკიდებულება:** საკონტაქტო პირებისა და გამოვლენილი დაინტერესებული მხარეების სია (აქტივობა 1-ის - დაინტერესებული მხარეების ანალიზი და იდენტიფიცირება შედეგი)

დაინტერესებული მხარეების ანალიზის დასრულებისა და ძირითადი საკონტაქტო პირების დადგენის შემდეგ, მუნიციპალურ დაინტერესებულ მხარეებთან გაცნობითი შეხვედრა ტარდება. შეხვედრა მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობისა და მერიის წარმომადგენლების ინფორმირებას ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ. შეხვედრაზე ასევე განიხილება ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნის საკითხი, ეკოსისტემური სერვისების დარუკების პროცესი და სხვ. შეხვედრის მთავარ მიზანს ტყის მართვის გეგმების მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობის წახალისება, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნის პოლიტიკური პროცესის დაწყება და ადგილობრივი ტყეების შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება წარმოადგენს.

გაცნობითი შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს ეროვნულ დონეზე, რომელზეც მუნიციპალური მერიების მაღალი თანამდებობის პირებს ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოიწვევს. სავარაუდოდ, შესაძლებელია ტყის მართვის გეგმის მოსამზადებლად დაქირავებული კომპანიის მოწვევაც. შეხვედრაზე მოხდება IPPA კონცეფციის წარდგენა, რომელიც შესაბამის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) ოფიციალურად შექმნას ითვალისწინებს.

განიხილება ორი სცენარი: ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნა შეთანხმებულია მერებთან; და ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) არ იქმნება - მერია უარს ამბობს ასეთი ჯგუფის შექმნაზე.

**სცენარი 1 – ეროვნული პოლიტიკური დიალოგის საფუძველზე შექმნილია ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) და წარმოადგენენ ოფიციალურ სუბიექტებს**

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნა სატყეო სააგენტოსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის პოლიტიკური შეთანხმების შედეგია და არა ტექნიკური საქმიანობის გვერდითი პროდუქტი. პროცესის შესაბამის დონეზე წარმართვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელ მხარეებთან მუშაობაში ჩართული იყვნენ მაღალი თანამდებობის მქონე პირები, როგორიცაა სატყეო სააგენტოს უფროსი ან უფროსის მოადგილე. ეს პროცესი ეროვნულ დონეზე უნდა გავიდეს და ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) მაღალი დონის მოლაპარაკებების გზით უნდა ჩამოყალიბდეს. ადგილობრივ წარმომადგენლებს და განსაკუთრებით კერძო კომპანიებს ასეთი პოლიტიკური პროცესების წარმართვის უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

**ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნის საკითხზე მაღალი დონის მოლაპარაკებების პროტოკოლი.**

**მაღალი დონის მოლაპარაკებების ინიცირება:**

- დაწყება ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობის პირებს (მერი, მერის მოადგილე) შორის შეხვედრით.

- IPPA-ს კონცეფციის, აგრეთვე ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) ამოცანების მკაფიოდ განსაზღვრა ტყის მდგრად მართვასა და საზოგადოების ჩართულობაში მათი როლის როლის ხაზგასმით.
- პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება ტყის მართვის ეროვნული მიზნების მიღწევაში ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) როლისა და სტრატეგიული მნიშვნელობის განმარტების გზით.

წამყვანი პირების დანიშვნა:

- დისკუსიების წამყვანებად და პროცესის მთავარ საკონტაქტო პირებად მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნა.
- ადგილობრივ თვითმმართველობებში იმ პასუხისმგებელი მხარეების იდენტიფიცირება, რომლებიც ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნის პროცესში საკუთარ მუნიციპალიტეტებს წარმოადგენენ.
- აუცილებელია, რომ ორივე მხარეს ჰქონდეს შესაბამისი ორგანიზაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებისა და ვალდებულებების აღების უფლებამოსილება.

ფუნქციებისა და ვალდებულებების განსაზღვრა:

- ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნასა და მუშაობაში ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ადგილობრივ თვითმმართველობების ფუნქციებისა და ვალდებულებების მკაფიოდ განსაზღვრა.
- ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შემადგენლობის, წევრების მოვალეობებისა და მოლოდინების განხილვა და შეთანხმება.
- განმარტება იმისა, თუ როგორ შეუწყობენ ხელს ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) სატყეო სააგენტოს, ადგილობრივ თვითმმართველობასა და საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციასა და თანამშრომლობას.
- ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნის შესახებ დადგენილების წარდგენა და დოკუმენტის ხელმოწერის პროცესის ინიცირება.

### სცენარი 2 – ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნის შესახებ დადგენილებას მერიამ ხელი არ მოაწერა

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ვითარდება ალტერნატიული სცენარი. ეს სცენარი გულისხმობს მუშაობას როგორც ტექნიკურ, ასევე პოლიტიკურ საკითხებზე, და უფლებებისა და მოვალეობების გადანაწილებას არაფორმალურ საინიციატივო ჯგუფებზე მერიის ფარგლებში. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მთავარი პროცესების შემდგომ განვითარებას, მოლაპარაკებების წარუმატებლობის მიუხედავად, რაც საინიციატივო ჯგუფებს არსებული პრობლემების გადაჭრაში უფრო აქტიური როლის შესრულების შესაძლებლობას აძლევს.

წარმოგიდგენთ ადგილობრივ მრჩეველთა არაფორმალური საბჭოს (LAC) შექმნის ალტერნატიულ პროტოკოლს:

**გაცნობითი შეხვედრის პროტოკოლი**

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I. | **მომზადება და დაგეგმვა** | • **დაგეგმვა:** თარიღისა და დროის განსაზღვრა ისე, რომ ის ხელსაყრელი იყოს მხარეების უმრავლესობისათვის. მუნიციპალიტეტის მერთან ინდივიდუალური შეხვედრის თარიღისა და დროის განსაზღვრა.<br>• **შეხვედრის ადგილის მოწყობა**: ოთახის თეატრის სტილში მოწყობა, სადაც თანამდებობის პირები და გამომსვლელები წინა რიგში ისხდებიან, ხოლო დანარჩენი აუდიტორიისთვის სკამები რიგებად იქნება დალაგებული. საზოგადოების მონაწილეობისთვის საკმარისი სივრცის უზრუნველყოფა.<br>• **დღის წესრიგისა და PPT პრეზენტაციების მომზადება**<br>    o **დღის წესრიგი:** მკაფიო დღის წესრიგის მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება განსახილველი თემები, მათ შორის ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებული სამუშაოები, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნა, ეკოსისტემური სერვისების დარუკება (იხ. დღის წესრიგის მაგალითი **დანართი 1-ში – გაცნობითი შეხვედრის დღის წესრიგი).**<br>    o **პრეზენტაცია**: ტყის მართვის გეგმასა და შესაბამის პროცესებზე, სამუშაოები, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოზე (LAC), მუნიციპალური ტყეების საზღვრებზე პრეზენტაციების მომზადება. პრეზენტაციები ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისათვის (იხ. პრეზენტაციების მაგალითები **დანართი 2-ში – რა არის ტყის მართვის დაგეგმვა და ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC)).**<br>• **საკონტაქტო პუნქტები:** საკონტაქტო პირებისა და დაინტერესებული მხარეების სიის საფუძველზე საკონტაქტო პუნქტების შექმნა და შეხვედრამდე ყველა იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარესთან დაკავშირება.<br>• **კომუნიკაციის საშუალებები:** ტელეფონი, რეგიონული თანამშრომლები, Facebook ჯგუფები, ადგილობრივი რადიო, ადგილობრივი ტელევიზია, ელ.ფოსტა.<br>• **საკონტაქტო პუნქტებისგან** სხვა დაინტერესებული მხარეების მობილიზების მოთხოვნა.<br>• **მასალები:** PPT პრეზენტაციები, ბეჭდური ინფორმაცია ტყის მართვის გეგმის შესახებ, მონაწილეთა სიები, მარკერები და |

| | | |
|---|---|---|
| | | დაფა, პროექტორი, ლეპტოპი, მიკროფონები (საჭიროების შემთხვევაში). |
| II. | **შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერთან** | • ტყის მართვის გეგმის პროცესისა და მერიის ჩართულობის მნიშვნელობის ახსნა.<br>• შეთანხმება ადგილობრივ მრჩეველთა არაფორმალური საბჭოს (LAC) შექმნაზე.<br><br>1. მუნიციპალიტეტის ჩართულობა ტყის მართვის გეგმის პროცესში<br>2. საზოგადოების ჩართულობის საჭიროება (მერიის სამსახურები, სოფლების რწმუნებულები, ადგილობრივი მოსახლეობა)<br>3. შეთანხმება ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) თაობაზე<br>4. მობილიზაცია ეკოსისტემური სერვისების დარუკებისთვის<br>5. მერიის მიერ საკონტაქტო პუნქტის გამოყოფა საზოგადოების ჩართულობის ხელშესაწყობად |
| III | **გაცნობითი შეხვედრა** | • ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებით საზოგადოების მონაწილეობის პროცესის მკაფიოდ ახსნა. სიტყვით გამომსვლელების უზრუნველყოფა მიკროფონით ან სპეციალური ადგილით. გამომსვლელებისთვის დროის |

| | | |
|---|---|---|
| | | შეზღუდვის დაწესება ყველა მსურველისთვის საუბრის შესაძლებლობის მისაცემად.<br>• დაინტერესებული მხარეებისთვის ტყესთან დაკავშირებული გადასაჭრელი პრობლემების განხილვისა და იდენტიფიცირებისათვის შესაძლებლობის მიცემა.<br>• პირველ შეხვედრებს შეიძლება ცალმხრივი კომუნიკაციის ხასიათი ჰქონდეს, ანუ თანამდებობის პირები საზოგადოებას ესაუბრებოდნენ. კითხვებისა და პასუხების მიმართ სტრუქტურირებული მიდგომის გამოყენება.<br>• მეტი თვალსაჩინოებისთვის მოსაზრებებისა და კითხვების დაწერა წებოვან ფურცლებზე.<br>• შეთანხმება ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნასა და მის წევრებზე.<br>• მონაწილეების ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნება გამოყენებული მათ მიერ შეტანილი წვლილი და რა იქნება ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის შემდგომი ნაბიჯები. |
| IV | **შეხვედრის შემდგომი ნაბიჯები** | • **დოკუმენტირება**: ყველა შეკითხვის, კომენტარისა და განხილული საკითხის ჩაწერა. შეხვედრის დროს წამოჭრილი ძირითადი პუნქტებისა და პრობლემების შეჯამება.<br>• შეხვედრის მონაწილეთა სიის, როგორც საფუძვლის, გამოყენება IPPA მიდგომის მომდევნო ნაბიჯებისთვის. |
| **შედეგი** | | • ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნა შეთანხმებულია<br>• დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი ჯგუფი შექმნილია (მონაწილეთა სია) |

## 3. ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნა

**მიზანი**: ადგილობრივი წარმომადგენლების ინფორმირება ტყის დაგეგმვის გეგმის მიზნისა და პროცესის შესახებ

**ხანგრძლივობა:** 20 დღე

**დამოკიდებულება:** ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნა შეთანხმებულია (აქტივობა 2-ის - გაცნობითი შეხვედრა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შესაქმნელად შედეგი)

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები შეასრულებენ საკონსულტაციო ორგანოების როლს სატყეო სექტორში და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თემების მობილიზაციისა და ჩართულობის უზრუნველყოფაში. მათი მიზანია, უზრუნველყონ პლატფორმები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის სტრუქტურირებული და უწყვეტი მუდმივი დიალოგის საწარმოებლად ტყის მდგრადი მართვისა და ტყის მართვის დაგეგმვისა და განხორციელების კონტექსტში.

საზოგადოების მობილიზაცია რესურსებს მოითხოვს. ეროვნული სატყეო სააგენტოს/გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებს მოუწევთ ძალიან ბევრჯერ დარეკვა ადგილობრივი თემების და მერიის წარმომადგენლების შესაკრებად. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებულ პროცესებზე დასწრების ვალდებულება არ აქვთ.

ასეთი შემთხვევებისთვის მზადდება დადგენილება, რომელიც ახდენს ეროვნული სატყეო სააგენტო/გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მერიას შორის კორესპონდენციის ინსტიტუციონალიზაციას. დადგენილება (**იხ. დანართი 3 – დადგენილება ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შესახებ**), რომელსაც ხელს მერი აწერს, გამოყოფს თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების მობილიზებასა და ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებულ პროცესებში საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომის (IPPA) შესაბამისად (ნახ.2) და საჭიროების მიხედვით მოითხოვენ შეხვედრას ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან.

კერძოდ, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC):

- ხელს შეუწყობს ტყის მართვის დაგეგმვაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციას მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და მოსაზრებების გაზიარების პროცესის გასაუმჯობესებლად.
- საკუთარი საქმიანობით ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის ზრდას.
- ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) საქმიანობა კოორდინირებული იქნება ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე დანიშნული საკონტაქტო პირების მეშვეობით.

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) სტრუქტურა, ფუნქციები და გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები:

### სტრუქტურა

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. კერძოდ, მისი წევრები არიან:

1. **ხელისუფლების წარმომადგენლები**: მერი, მერის მოადგილე და წამყვანი მუნიციპალური სამსახურების, როგორიცაა ეკონომიკური სამსახური, ხელმძღვანელები, და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულები.
2. **ადგილობრივი თემის წარმომადგენლები**: ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების წევრები, რომლებიც მოსახლეობის სრულ წარმომადგენლობას უზრუნველყოფენ.

საბჭო მუშაობს მერის ხელმძღვანელობით, რომელიც უძღვება სხდომებს, რაც უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის შესაბამისობას მუნიციპალიტეტის სტრატეგიებსა და პრიორიტეტებთან.

ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) მრავალფუნქციური ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე, პოლიტიკის კოორდინაციასა და საზოგადოების ინფორმირებაზე ტყის მართვის გეგმის მომზადებისა და განხორციელების შესახებ. მისი ძირითადი ფუნქციებია:

1. **დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ხელშეწყობა:** ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) ტყის მართვის სტრატეგიების დაგეგმვასა და განხორციელებაში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ტყეზე დამოკიდებული თემების, აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს. ის წარმოადგენს პლატფორმას სხვადასხვა მოქმედ პირებს შორის დიალოგის წარმოებისა და კოორდინირებისათვის.
2. **კოორდინაცია ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან**: ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) მთავარ ვალდებულებას ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობა წარმოადგენს. ეს მოიცავს მონაწილეობას ტყის მართვის დაგეგმვაში და საკუთარი წინადადებების მომზადებას ტყის მართვის გეგმების გასაუმჯობესებლად. ასეთი კოორდინაცია ეროვნულ სატყეო პოლიტიკაში ადგილობრივი ხედვის გათვალისწინებას უზრუნველყოფს.
3. **საზოგადოების ცნობიერების ამაღლება:** გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) მანდატის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. საზოგადოების რეგულარულად ინფორმირებისა და კონსულტაციების მეშვეობით საბჭო ხელს უწყობს ტყის მართვაში ანგარიშვალდებულებისა და ინკლუზიურობის კულტურის დანერგვას.

გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები

ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურირებულ პროცესებს იყენებს:

1. **რეგულარული სხდომები:** საბჭო, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ იკრიბება. საბჭოს რიგგარეშე სხდომების მოწვევაც შეუძლია. სხდომებს უძღვება მერი ან მისი წარმომადგენელი. სხდომები წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით ტარდება.
2. **თემატური სამუშაო ჯგუფები:** კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შეუძლია შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეებისგან დაკომპლექტდებიან. ეს ჯგუფები ძირითადად მუშაობენ მონაცემთა შეგროვებაზე, ანალიზზე და მიზნობრივი გადაწყვეტილებების შემუშავებაზე.
3. **დოკუმენტაცია და კენჭისყრა:** გადაწყვეტილებები სხდომის ოქმში იწერება და მათ დასამტკიცებლად საჭიროა ხმათა უმრავლესობა. თანაბარი ხმების შემთხვევაში

გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. დაშვებულია ონლაინ შეხვედრებიც, რაც საბჭოს შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს.

**ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება**

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) ანგარიშვალდებულია როგორც ადგილობრივი, ასევე ეროვნული დაინტერესებული მხარეების წინაშე:

- **თანამშრომლობა ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან**: რეგულარული კოორდინაცია ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებთან ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე ეროვნული ტყის მართვის მიზნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.
- **ექსპერტთა კონსულტაციები:** ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შეუძლია მოიწვიოს ტექნიკური ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები მათთან კონსულტაციების გასავლელად, რაც დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს.
- **გამჭვირვალე კომუნიკაცია:** ინფორმაცია გადაწყვეტილებებისა და ჩატარებული სამუშაოს შესახებ მიეწოდება ყველა შესაბამის მხარეს, რაც ხელს უწყობს ნდობისა და ჩართულობის ზრდას.

**მედიატორის როლი**

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) მრავალფეროვან დაინტერესებულ მხარეებს შორის მედიატორის მნიშვნელოვანი როლი  აქვს:

1. **ადგილობრივი და ეროვნული ინტერესების შეჯერება:** ეროვნულ პოლიტიკაში ადგილობრივი ცოდნის ინტეგრირებით, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) კონტექსტთან და უფრო ფართო მიზნებთან ტყის მართვის სტრატეგიების შესაბამისობას უზრუნველყოფს.
2. **ინკლუზიურობის ხელშეწყობა:** საბჭო უზრუნველყოფს პლატფორმას მარგინალიზებული ადამიანებისა და ჯგუფებისათვის, მათ შორის ტყეზე დამოკიდებული თემებისათვის, რაც ხელს უწყიბს პოლიტიკის შემუშავებისას მათი პრობლემების გათვალისწინებას.
3. **მოქნილობის უზრუნველყოფა:** თემატური სამუშაო ჯგუფებისა და ადაპტირებადი გადაწყვეტილებების მიღების გზით, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე რეაგირება შეუძლია.

მომავალში ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ:

- ადგილობრივი თემის წარმომადგენლები: ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულების წევრები, რომლებიც მოსახლეობის სრულ წარმომადგენლობას უზრუნველყოფენ.
- ტექნიკური და სამოქალაქო დაინტერესებული მხარეები: ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთვებიან ცალკეულ შემთხვევებში კონკრეტული ცოდნის გასაზიარებლად და რჩევების მისაცემად.

გამოცდის დროს, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) გამოიკვეთა, როგორც უმნიშვნელოვანესი ელემენტი ტყის მართვის დაგეგმვის პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის გასაზრდელად. მათ, ადგილობრივი თემების მობილიზაციის ოპტიმიზაციითა და მერიის წარმომადგენლების უფრო ეფექტიანად ჩართვის ხარჯზე, რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით საკუთარი ეფექტიანობა გამოავლინეს. ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებმა (LAC), ამოცანების დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გამარტივებით, ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დატვირთვა შეუმსუბუქეს. გარდა ამისა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) მუნიციპალიტეტებს ტყის მართვის დაგეგმვის პროცესებში უფრო საფუძვლიანად და გაცნობიერებულად ჩართვის შესაძლებლობას აძლევენ, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობას და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.

**გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის პრინციპების გათვალისწინება ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნისას**

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ტყის მონაწილეობითი მართვისკენ, რომელშიც ყველა დაინტერესებულ მხარეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საკუთარი ხმა აქვს. ნამდვილად წარმომადგენლობითი და ინკლუზიური ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის (GESI) პრინციპების თავიდანვე გათვალისწინება. ამ პრინციპების მიზანია სისტემური უთანასწორობის აღმოფხვრა, არასაკმარისად წარმოდგენილი ხმების გაძლიერება და თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველასთვის, მათ შორის ქალებისთვის, ახალგაზრდებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მარგინალიზებული ჯგუფებისათვის.

*ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებში (LAC) ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა*

ტყეზე დამოკიდებულ თემებში ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რესურსების გამოყენებასა და დაზოგვაში, თუმცა, კულტურული ნორმების, ძალაუფლების არათანაბარი განაწილებისა და ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომის გამო, ისინი ხშირად მართვის სტრუქტურებში არ მონაწილეობენ. ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) ფორმირებასა და ფუნქციონირებაში ქალების ჩასართავად საჭიროა მიზანმიმართული ზომების მიღება და ამ წინაღობების დაძლევა. ასეთ ზომებს განეკუთვნება:

მონაწილეობის კვოტების დაწესება: მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლების დადგენა, როგორიცაა ქალების 40%-იანი წარმომადგენლობა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებში (LAC), რაც მათი მოსაზრებების გათვალისწინებას უზრუნველყოფს.

უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა: ქალებისთვის ცალკე მოსამზადებელი სესიების ან ფოკუს ჯგუფების ჩატარება კულტურული ნორმების გათვალისწინებით მათი მონაწილეობის წასახალისებლად. უსაფრთხო სივრცის შექმნა ქალებს საკუთარ პრობლემებზე საუბრის, მოსაზრებების გაზიარებისა და შერეულ გენდერულ პლატფორმებზე ინკლუზიური დიალოგისთვის მომზადების შესაძლებლობას მისცემს.

*გენდერული თანასწორობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში*

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაცული უნდა იყოს გენდერული თანასწორობა იმისათვის, რომ გადაწყვეტილებებში როგორც ქალების, ასევე მამაკაცების საჭიროებები და პრიორიტეტები აისახოს. ამისათვის საჭიროა:

თანაბარი ხმის უზრუნველყოფა: ქალთა მონაწილეობა მხოლოდ მონაწილე ქალების რაოდენობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს; აუცილებელია ქალების მიზნობრივი და გაცნობიერებული ჩართულობის უზრუნველყოფა. ქალებს უნდა მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანონ ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) დღის წესრიგის დადგენაში, გადაწყვეტილებების მიღებაში და საპასუხისმგებლო ფუნქციების შესრულებაში. ქალებს შეიძლება მიეცეთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად ონლაინ პლატფორმების გამოყენების შესაძლებლობა.

გენდერულად მგრძნობიარე ფასილიტაცია: ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) დისკუსიები უნდა წარიმართოს ისე, რომ წახალისებულ იქნას ქალების მონაწილეობა, დომინანტური ხმებისა ან გამორიცხვის პრაქტიკის თავიდან აცილებით. სპეციალურად მომზადებულმა ფასილიტატორებმა უნდა შეძლონ ინკლუზიური დიალოგის წარმართვა და გენდერული ნიშნით განპირობებული დამოკიდებულების ამოცნობა.

ქალები წვლილის აღიარება: ქალების ცოდნის, განსაკუთრებით რესურსების მდგრადი გამოყენების, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ტყის არამერქნული პროდუქტების მართვის სფეროში, აღიარება და დაფასება. მათი ცოდნის აღიარება არა მხოლოდ აძლიერებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, არამედ ადასტურებს ქალების როლს ტყეების მართვაში.

*სოციალური ინკლუზია, როგორც ფუნდამენტური პრინციპი*

სოციალური ინკლუზიის პრინციპები ხაზს უსვამს სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური უმცირესობების, ახალგაზრდებისა და სხვადასხვა გენდერული იდენტობის მქონე პირების ჩართვის აუცილებლობას. ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნისას სოციალური ინკლუზიის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ზომები მოიცავს:

წინაღობების გამოვლენა და მოშლა: წინასწარი გენდერული და სოციალური ანალიზის ჩატარება იმ კონკრეტული წინაღობების გამოსავლენად, რომლებიც მარგინალიზებულ ჯგუფებს ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებში (LAC) მონაწილეობას უზღუდავენ. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ისეთი მიზანმიმართული ზომების მიღებით, როგორიცაა მარტივი კომუნიკაცია, ფინანსური მხარდაჭერა ან შეხვედრების ხელსაყრელ დროს დანიშვნა.

ინკლუზიური კომუნიკაციის სტრატეგიები: ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნისა და მუშაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ყველა ჯგუფისთვის გასაგები ფორმით. მაგალითად, ვიზუალური საშუალებების გამოყენება, ინფორმაციის ადგილობრივ ენაზე გავრცელება და შშმ პირებისთვის ალტერნატიული ფორმატების გამოყენება.

თანაბარი წარმომადგენლობა: არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების მონაწილეობის წახალისება ადგილობრივ ლიდერებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სათემო ქსელებთან მუშაობის გზით. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მარგინალიზებული თემებისთვის ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) მუშაობაში მათი მოსაზრებების გასათვალისწინებლად.

*გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის დადებითი მხარე*

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნაში გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის პრინციპების გათვალისწინება ზრდის ტყის მართვის პროცესების ლეგიტიმურობას, გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. როდესაც ქალები და მარგინალიზებული ჯგუფები აქტიურად არიან ჩართული, გადაწყვეტილებები უფრო მეტად ასახავს საზოგადოების მრავალფეროვან საჭიროებებს, რაც უფრო სამართლიანი და მდგრადი შედეგების მიღებას განაპირობებს.

**ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნის პროტოკოლი**

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I. | **დადგენილება ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნის შესახებ დამტკიცებულია** | • ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნის შესახებ დადგენილების ცვლილება მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციის შესაბამისად<br>• დადგენილების გაგზავნა მერიაში რეაგირებისათვის (10 დღე დასამტკიცებლად)<br>• მუნიციპალიტეტის მერია ხელს აწერს დადგენილებას ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნის შესახებ |
| **შედეგი** | | • მუნიციპალური ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC) შექმნილია. |

## 4. დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების დაკომპლექტება

**მიზანი**: ტყეზე დამოკიდებული დაინტერესებული მხარეების შეკრება

**ხანგრძლივობა:** 5 დღე

**დამოკიდებულება:** ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნა (აქტივობა 3-ის - ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნა შედეგი) და საკონტაქტო პირებისა და

გამოვლენილი დაინტერესებული მხარეების სია (აქტივობა 1-ის - [დაინტერესებული მხარეების ანალიზი და იდენტიფიცირება ]შედეგი)

აუცილებელია ტყეზე დამოკიდებული დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და კატეგორიზაცია. დაინტერესებული მხარეები შეიძლება რამდენიმე გზით დავაჯგუფოთ, მათი გავლენის, ჩართულობის ან ტყის რესურსებთან დამოკიდებულების მიხედვით.

**დაინტერესებული მხარეების ჯგუფების შექმნის პროტოკოლი**

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I. | **დაინტერესებული მხარეების კატეგორიზაცია გავლენის მიხედვით** | დაინტერესებული მხარეების დაჯგუფება შესაძლებელია ტყის მართვის დაგეგმვაზე მათი გავლენის ხარისხის მიხედვით, დაწყებული ყველაზე მაღალი ზემოქმედებით და დამთავრებული მინიმალური გავლენით. ეს მეთოდი გვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ ვინ საჭიროებს ყველაზე მეტ ყურადღებასა და ჩართულობას.<br>• პირველი რიგის დაინტერესებული მხარეები: ტყის მართვის დაგეგმვის უშუალო ზემოქმედების ქვეშ მყოფი ან ტყის მართვის დაგეგმვაზე ძლიერი გავლენის მქონე დაინტერესებული მხარეები (მაგ., ტყის მერქნული რესურსების მომპოვებლები, ეროვნული სატყეო სააგენტოს რეინჯერები, და სხვ.).<br>• მეორე რიგის დაინტერესებული მხარეები: პროექტის არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ან მასზე გავლენის მქონე პირები.<br>• მესამე რიგის დაინტერესებული მხარეები: პოტენციური გავლენის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ ცოდნა, მაგრამ უმნიშვნელო პირდაპირი ზემოქმედება (მაგ., მეტყევე ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები).<br>• მეოთხე რიგის დაინტერესებული მხარეები: მინიმალური ზემოქმედების ქვეშ მყოფი, თუმცა, პროექტების შედეგებით პოტენციურად დაინტერესებული პირები (მაგ., მედია). |
| II. | **დაინტერესებული მხარეების დაჯგუფება ინტერესების ან ჩართულობის მიხედვით** | ჩართულობის დონის მიხედვით დაინტერესებული მხარეების უკეთ სამართავად შეგვიძლია ისინი სამ ძირითად კატეგორიად დავყოთ:<br>• მაღალი ხარისხით ჩართული დაინტერესებული მხარეები: ტყის მართვის ცვლილებებით ღრმად დაინტერესებული და ამ ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი.<br>• საშუალო ხარისხით ჩართული დაინტერესებული მხარეები: საშუალოდ დაინტერესებული და მაღალი |

| | | |
|---|---|---|
| | | ხარისხით ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან შედარებით ნაკლებად ჩართული.<br>• დაბალი ხარისხით ჩართული დაინტერესებული მხარეები: ტყის მართვის დაგეგმვის მიმართ მცირე ინტერესი ან მისი უქონლობა და მინიმალური გავლენა მის წარმატებით განხორციელებაზე. |
| **შედეგი** | | • დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები განსაზღვრულია და კატეგორიებად დაყოფილი. |

ამ კატეგორიების გამოყენებით შესაძლებელია ტყეზე დამოკიდებული დაინტერესებული მხარეების ეფექტიანად დარუკება და IPPA მეთოდოლოგიაში განსაზღვრული ამა თუ იმ შეხვედრისთვის, ანალიტიკური სამუშაოსთვის ან სემინარისთვის შესაბამისი ჯგუფების მოწვევა. ეს ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მისცემს შესაძლებლობას, მიმართოს საზოგადოების ჩართულობის სტრატეგიები იმ ჯგუფებზე, რომლებიც ტყის მართვის დაგეგმვისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ.

## 5. ცნობიერების ამაღლების კამპანია

მიზანი: საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის დაწყების, მისი მიზნებისა და პროცესში მათი ჩართვის შესაძლებლობის შესახებ.

ხანგრძლივობა: 14 დღე

დამოკიდებულება: ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნა (აქტივობა 3-ის - ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნა შედეგი) და დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები განსაზღვრულია და კატეგორიებად დაყოფილი (აქტივობა 4-ის - დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფების დაკომპლექტება შედეგი)

ტყის მართვის გეგმასთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებს, როგორიცაა ადგილობრივი თემები, ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვ., აწვდიან ინფორმაციას ტყის მართვის გეგმების მიზნების, სარგებლისა და განხორციელების პროცესის შესახებ. ამ შეხვედრების შედეგად დაინტერესებული მხარეები იგებენ, თუ როგორ იმოქმედებს ტყის მდგრადი მართვა მათ საარსებო საშუალებებზე, ადგილობრივ ეკოსისტემებზე, ბიომრავალფეროვნებაზე და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ასეთი გამჭვირვალობა და ინფორმაციის მიწოდებისა და საზოგადოების მოსაზრებების მოსმენის მზაობა ხელს უწყობს გამჭვირვალობის, ჩართულობისა და თანამშრომლობის გაძლიერებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ტყის მართვის დაგეგმვის პროცესებში საზოგადოების მონაწილეობისათვის.

**ინფორმაციის ინკლუზიური გაზიარებისა და რეგიონისთვის დამახასიათებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მნიშვნელობა**

არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფებისთვის ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია ტყის მართვის პროცესებში საზოგადოების ნაყოფიერი მონაწილეობის ხელშესაწყობად. მარგინალიზებულ ჯგუფებს, როგორიცაა ქალები, ახალგაზრდები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები და სხვადასხვა გენდერული იდენტობის მქონე პირები, ყოველთვის აწყდებოდნენ სისტემურ წინაღობებს, რომლებიც მათ მონაწილეობას ზღუდავდნენ, მაგალითად, შესაბამის ინფორმაციაზე წვდომის არქონა, მათზე მორგებული საკომუნიკაციო არხების არარსებობა და გადაწყვეტილების მიღების პლატფორმებზე მათი არგათვალისწინება. ამ პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია ინფორმაციის გავრცელების მიზნობრივი, ინკლუზიური მიდგომა, რომელიც რეგიონების სპეციფიკურ საჭიროებებსა და სოციალურ-კულტურულ კონტექსტს გაითვალისწინებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არასაკმარისად წარმოდგენილ ჯგუფებს, რადგან მათი გამორიცხვით ხშირ შემთხვევაში ტყის მართვის ყოვლისმომცველი და მდგრადი სტრატეგიების შემუშავება ვერ ხერხდება. მაგალითად, ქალების ტრადიციული ცოდნა ტყის არამერქნული პროდუქტების, სათბობი შეშის გამოყენებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ დაგეგმვისა და მართვის პროცესებს მნიშვნელოვნად გაამდიდრებს. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და კულტურულად შესაფერის ფორმატებში არ იქნება გაზიარებული, ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა წერა-კითხვის არცოდნა, ტექნოლოგიებზე წვდომის არქონა და კულტურული ნორმები, შეიძლება მათ ჩართულობას ხელი შეუშალოს. ანალოგიურად, ახალგაზრდებს, რომლებსაც მომავალში ტყის მართვაში გადამწყვეტი როლი ექნებათ, თაობების იერარქიულობისა თუ საზოგადოების ჩართულობისკენ მიმართული არასაკმარისი ზომების გამო, ხშირად არ აქვთ დისკუსიაში მონაწილეობის მიღებისა და საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

აუცილებლად გასათვალისწინებელია რეგიონისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური საჭიროებები. ეთნიკურად მრავალფეროვან რაიონებში, ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, ინფორმაციის გაზიარება სხვადასხვა ენასა თუ დიალექტზე უნდა მოხდეს. სიღარიბის მაღალი დონის ან წიგნიერების დაბალი მაჩვენებლის მქონე რეგიონებს შეიძლება დასჭირდეთ კომუნიკაციის გამარტივებული, ვიზუალური ან ზეპირი მეთოდები, როგორიცაა სათემო შეხვედრები, საუბრები და თვალსაჩინო მასალები. გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, როგორებიც არიან, მაგალითად, სმენა ან მხედველობა დაქვეითებულები, საჭიროა მათზე მორგებული სტრატეგიების გამოყენება, მათ შორის სურდოთარგმანის, ბრაილის შრიფტის ან ადვილად ხელმისაწვდომი ციფრული პლატფორმების.

ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, რწმენის, ეთნიკური წარმომავლობის ან გენდერული იდენტობის თანაკვეთის შემთხვევები ინტერსექციურ მიდგომას მოითხოვს. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ან არაბინარული გენდერული იდენტობის მქონე პირები გარიყვის მრავლობით ფორმას აწყდებიან. ინფორმაციის გაზიარების პროცესში უნდა შეიქმნას დიალოგისთვის უსაფრთხო სივრცე, სადაც ეს ჯგუფები იპოვიან საკუთარ საჭიროებებზე საუბრისა და მოსაზრებების გაზიარების ძალას დისკრიმინაციის ან მიკერძოების შიშის გარეშე. რეგიონისთვის დამახასიათებელი კულტურული ნორმების, მათ შორის რელიგიური ტრადიციების გათვალისწინებამ,

შესაძლოა, კიდევ უფრო გაზარდოს ნდობა და მოსახლეობაში ტყის მართვის ღონისძიებების მიმღებლობის ხარისხი.

ამ პრინციპების ეფექტიანად განსახორციელებლად ტყის მართვაში მონაწილე სუბიექტებმა, მათ შორის ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებმა (LAC) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, უნდა გამოიყენონ მრავალფეროვანი და თითოეული რეგიონის სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული საკომუნიკაციო პლატფორმები. მაგალითად, პირისპირ შეხვედრები, რადიო გადაცემები, ვიზუალური საშუალებები, სოციალური მედია და პუბლიკაციები ადგილობრივ ენებზე.

**ცნობიერების ამაღლების კამპანიის პროტოკოლი**

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I. | დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრის ადგილების განსაზღვრა<br><br>*მოთხოვნა:*<br>მუნიციპალური ქალაქის ცენტრი და მინიმუმ 3 სოფელი. | • მუნიციპალიტეტის მერის ინფორმირება ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაწყების შესახებ და მისთვის საზოგადოების მობილიზაციასა და ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსთან (LAC) დაკავშირებით დახმარების თხოვნა.<br>• ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსთან (LAC) კოორდინაციით სამიზნე რაიონში შეხვედრის პოტენციური ადგილების წინასწარი შეფასების ჩატარება.<br>o **სოფლების იდენტიფიცირების კრიტერიუმები**:<br>▪ მოსახლეობის რაოდენობა.<br>▪ ტყესთან სიახლოვე.<br>▪ “რეგიონული ცენტრები”.<br>▪ მგზავრობის დრო.<br>▪ მერიისა და ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) რეკომენდაციები.<br>• შეხვედრის ადგილები ადვილად მისადგომი უნდა იყოს ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარისთვის და ჰქონდეს შეხვედრების ჩასატარებლად საჭირო ინფრასტრუქტურა (მაგ., სკამები, ეკრანი პროექტორისთვის, მანქანების სადგომი და ა.შ.).<br>• სათემო ცენტრების, მუნიციპალური შენობებისა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების განხილვა. |
| II. | შეხვედრის დღის წესრიგისა და განრიგის მომზადება | • სოფლის შეხვედრის განრიგის მომზადება<br>• მუნიციპალური ქალაქის ცენტრში ჩასატარებელი შეხვედრის დღის წესრიგის ნიმუში, იხ. დანართი 4 – **ცნობიერების ამაღლების დღის წესრიგი** |

| | | |
|---|---|---|
| | | • სოფლის შეხვედრაზე განსახილველი საკითხები:<br>o ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები ადგილობრივი მოსახლეობისათვის<br>o რა არის ტყის მართვის დაგეგმვა<br>o საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა<br>o ეკოსისტემური სერვისების დარუკება<br>o ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შექმნა და მათი როლი |
| III. | დაინტერესებული მხარეების მობილიზება | • ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) გააქტიურება დაინტერესებული მხარეების მობილიზებისთვის (დაინტერესებული მხარეების ჯგუფების მიხედვით)<br>• ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სათემო ლიდერები და სხვა შესაბამისი ჯგუფები, მოსაწვევების მომზადება და დარიგება.<br>• ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებისა (LAC) და სხვა დაინტერესებული მხარეების რეგულარულად შეხსენება სხვადასხვა არხებით (ტელეფონი, ელ.ფოსტა) მაქსიმალური დასწრების უზრუნველსაყოფად.<br>• დამატებით შემდეგი საშუალებების გამოყენება<br>o რეგიონული Facebook ჯგუფები - Facebook საინფორმაციო მასალების მომზადება და გამოქვეყნება<br>o ადგილობრივი ტელევიზია<br>o ადგილობრივი რადიო<br>o ადგილობრივი გაზეთები<br>o ლიფლეტები |
| IV | საინფორმაციო მასალების შემუშავება და შეხვედრისთვის საჭირო აღჭურვილობის მომზადება | • **ბეჭდური მასალები:**<br>o რა არის ტყის მართვის დაგეგმვა<br>o საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობა<br>o მონაწილეთა სია<br>• **აღჭურვილობა**<br>o ლეპტოპი<br>o პროექტორი პრეზენტაციებისთვის<br>o წებოვანი ფურცლები<br>o წებოვანი ფურცლების დაფა<br>o კალმები<br>o ფურცლები / ბლოკნოტები |
| V | შეხვედრების ჩატარება | • შეხვედრებზე ტექნიკური ენის ნაკლებად გამოყენება. |

| | | |
|---|---|---|
| | | • მონაწილეებს შორის დიალოგის წარმოების უზრუნველყოფა.<br>• ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.<br>• სხვა დაინტერესებული მხარეების მოწვევა მომავალ შეხვედრებზე:<br>  o გახსნითი შეხვედრა<br>  o ეკოსისტემური სერვისების დარუკება<br>  o საჭიროებიდან გამომდინარე სხვა შეხვედრები |
| **შედეგი**: | | • დაინტერესებული მხარეების ინფორმირებული არიან ტყის მართვის დაგეგმვის პროცესების, მათ შორის გახსნითი შეხვედრის, ეკოსისტემური სერვისების დარუკების, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) შექმნის შესახებ. იდენტიფიცირებულია დაინტერესებული მხარეების სხვა ჯგუფებიც. |

## 6. გახსნითი შეხვედრა

მიზანი: ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის ოფიციალურად დაწყება მუნიციპალიტეტის ფარგლებში და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ეკოსისტემური სერვისების დარუკების შესახებ

ხანგრძლივობა: 14 დღე

დამოკიდებულება: ცნობიერების ამაღლების კამპანია (აქტივობა 5-ის – ცნობიერების ამაღლების კამპანია შედეგი)

გახსნითი შეხვედრის მსვლელობისას, ეროვნული სატყეო სააგენტო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ტყის მართვის გეგმის მოსამზადებლად დაქირავებულ კომპანიასთან, აგრეთვე ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსა (LAC) და ადგილობრივი მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ოფიციალურად გახსნის მუნიციპალიტეტში ტყის მართვის დაგეგმვის პროცესს. შეხვედრის მონაწილეები გაეცნობიან პროექტის მიზნებსა და სამუშაოებს, რაც დაინტერესებულ მხარეებს შორის გამჭვირვალე კომუნიკაციის საფუძველს შექმნის. კონტრაქტორი კომპანია წარმოადგენს ტყის **წინასწარ** რუკებს, რომლებზეც აღნიშნული იქნება ძირითადი მონაცემები ტყის მდგომარეობის, ფუნქციური ზონებისა და უკვე დადგენილი ეკოსისტემური სერვისების შესახებ. გარდა ამისა, შეხვედრაზე განიხილება ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის მომავალი ეტაპები, რაც საზოგადოების წარმომადგენლებს ტყის მდგრად მართვაში მათი მონაწილეობისა და წვლილის მნიშვნელობის უკეთ გაგების შესაძლებლობას მისცემს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყოს ზემოთ აღნიშნული ტყის საბაზისო კატეგორიზაციის რუკები. აღნიშნული რუკები, რომლებიც სხვადასხვა ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ტყეების წინასწარ შეფასებასა და კლასიფიკაციას ახდენენ, ტყეების მართვაში გამოყენებული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ რუკების საშუალებით შესაძლებელია მართვის ღონისძიებების განხორციელებამდე ტყის მდგომარეობის შესახებ წარმოდგენის შექმნა. როგორც წესი, ეს რუკები შემდეგ მონაცემებს შეიცავენ:

1. ტყის მდგომარეობა: ინფორმაცია ტყის სიჯანსაღის, სიხშირისა და შემადგენლობის შესახებ (მაგ., ხეების ასაკი, სახეობების მრავალფეროვნება და დეგრადირებული ადგილები).
2. ტყის ფუნქციები და ზონები: ტყეში სხვადასხვა ისეთი ფუნქციური ზონების იდენტიფიცირება, როგორიცაა კონსერვაციული ზონები, სამეურნეო ტყეები, რეკრეაციული ზონები და ველური ბუნების დაცული ჰაბიტატები.
3. ეკოსისტემური სერვისები: ტყის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების, როგორიცაა ნახშირბადის შეკავება, წყლის გაფილტვრა, ნიადაგის დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, აღწერა.
4. მიწათსარგებლობა და მიწაზე საკუთრება: მიწის საკუთრების და სარგებლობის ფორმების დადგენა, კერძოდ, სახელმწიფო საკუთრებაში, ადგილობრივი თემის მართვაში და კერძო საკუთრებაში არსებული ტყეების გამოვლენა.

**გახსნითი შეხვედრის პროტოკოლი**

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I. | შეხვედრის მოსამზადებელი სამუშაოები | • ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსთან (LAC) შეთანხმებით დაინტერესებული მხარეებისთვის ხელსაყრელი თარიღისა და ადგილის (მაგ., მუნიციპალური დარბაზი ან სათემო ცენტრი) შერჩევა შეხვედრის ჩასატარებლად.<br>o საჭირო აღჭურვილობის, როგორიცაა პროექტორი, ეკრანი და დასარიგებელი მასალები (რუკები, ბროშურები) უზრუნველყოფა.<br>• დღის წესრიგის მომზადება, რომელიც მოიცავს ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის მიმოხილვას და მუნიციპალური ტყეების რუკების პრეზენტაციას. |
| II | ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოწვევა და საზოგადოების მობილიზება | • ოფიციალური მოსაწვევების გაგზავნა მერიის წარმომადგენლებისთვის, კონტრაქტორი კომპანიისთვის, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წევრებისთვის, სათემო ლიდერებისთვის და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. |

| | | |
|---|---|---|
| | | • ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსთან (LAC) კოორდინაციით, დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებში შემავალი თემების მობილიზება. აგრეთვე, შემდგი საშუალებების გამოყენება:<br>o რეგიონული Facebook ჯგუფები - Facebook საინფორმაციო მასალების მომზადება და გამოქვეყნება<br>o ადგილობრივი ტელევიზია<br>o ადგილობრივი რადიო<br>• შეხვედრის თარიღის მოახლოებასთან ერთად მონაწილეების შეხსენება სხვადასხვა არხებით, სასურველია ტელეფონით.<br>• შეხვედრაზე დასასწრებად დაინტერესებული მხარეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების ტრანსპორტით უზრუნველყოფის შესაძლებლობის განხილვა. |
| III | საინფორმაციო მასალების შემუშავება და შეხვედრისთვის საჭირო აღჭურვილობის მომზადება | • **ბეჭდური მასალები:**<br>o რა არის ტყის მართვის დაგეგმვა<br>o საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობა<br>o მონაწილეთა სია<br>• **აღჭურვილობა**<br>o ლეპტოპი<br>o პროექტორი პრეზენტაციებისთვის<br>o წებოვანი ფურცლები<br>o წებოვანი ფურცლების დაფა<br>o კალმები<br>o ფურცლები / ბლოკნოტები<br>• მუშაობა კონტრაქტორ კომპანიასთან პრეზენტაციისთვის **ტყის წინასწარი რუკებისა** და **ტყის საბაზისო კატეგორიზაციის რუკების** მოსამზადებლად. რუკები უნდა მოიცავდნენ დეტალურ მონაცემებს ტყის მდგომარეობის, ზონირების, ეკოსისტემური სერვისებისა და მიწათსარგებლობის ფუნქციების შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| IV | გახსნითი შეხვედრა | • **ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის მიმოხილვა**<br>o ეროვნული სატყეო სააგენტოსა და კონტრაქტორი კომპანიის პრეზენტაცია ტყის მართვის დაგეგმვის მიზნებისა და ძირითადი სამუშაოების შესახებ.<br>o ტყვის მართვის გეგმის მომზადების ვადების, ეტაპებისა და მის შემუშავებაში საზოგადოების როლის ხაზგასმა.<br>• **ტყის წინასწარი რუკების და ფონური მონაცემების პრეზენტაცია**<br>o კონტრაქტორი კომპანიის მიერ ტყის წინასწარი რუკების დეტალური პრეზენტაცია.<br>o რუკებზე ასახული უნდა იყოს უნდა მონაცემები ტყის მდგომარეობის, ფუნქციური ზონების, ეკოსისტემური სერვისებისა და მიწათსარგებლობის ფუნქციების შესახებ.<br>• ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსა (LAC) და საზოგადოების წარმომადგენლების კითხვებისა და პასუხებისთვის დროის გამოყოფა.<br>**მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობასა და დაინტერესებულ მხარეებთან**<br>o ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსა (LAC) და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის ფორმების განხილვა<br>o ეკოსისტემური სერვისების დარუკების ღონისძიებაზე შეთანხმება.<br>o ტყით სარგებლობის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების უკეთ გაგებაში ადგილობრივი მოსახლეობის წვლილის მნიშვნელობის განმარტება. |
| **შედეგი** | | • დაინტერესებული მხარეები ინფორმირებული არიან ტყის დაგეგმვის პროცესის, მუნიციპალური რუკების, ეკოსისტემური სერვისების დარუკებისა და საკუთარი როლის შესახებ. |

საზოგადოების მონაწილეობის ეფექტიანობა დამოკიდებულია მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ნდობის არსებობაზე. თუმცა, ნდობის რაოდენობრივად განსაზღვრა და განსხვავებულ სიტუაციებზე მისი განზოგადება ადვილი არ არის. ამისათვის საჭიროა ცოდნის პირობითი ხასიათის, პასუხისმგებლობების დეცენტრალიზაციისა და ადამიანებს შორის ურთიერთობების მნიშვნელობის გათვალისწინება. ეს ელემენტები ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მოქმედებების

თაობაზე არსებულ საჯარო დისკურსში მონაწილეობისა და თანამშრომლობის ჩარჩოების ჩამოსაყალიბებლად.

### 5.1.3 ფაზა 2 ტყის მართვის დაგეგმვისთვის საველე სამუშაოებში მონაწილეობა

ხანგრძლივობა: 4-7 თვე

1. ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკება

მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ღირებული ეკოსისტემური სერვისების იდენტიფიცირება და ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობა

ხანგრძლივობა: 60 დღე

დამოკიდებულება: გახსნითი შეხვედრა ჩატარებულია (ფაზა 1-ის აქტივობა 6-ის – გახსნითი შეხვედრა შედეგი)

ეკოსისტემური სერვისების შეფასება უაღრესად მნიშვნელოვანია ეკოსისტემების იმ როლის გასაცნობიერებლად და დასაფასებლად, რომელსაც ეს ეკოსისტემები ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ სერვისების მთავარი მიმღებები ადგილობრივები არიან, მათი მოსაზრებები, გამოცდილება თუ ინფორმაცია ტყის მართვის გეგმების მომზადების პროცესში ხშირად ყურადღების მიღმა რჩება.

ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობით დარუკებაში ადგილობრივი თემების ჩართვა ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას და სოციალური კაპიტალის ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის. გარდა ამისა, ის საზოგადოებას მნიშვნელოვან სივრცით ინფორმაციას აწვდის, რაც მოქალაქეებს ტყის მართვის ადგილობრივი გეგმების განხორციელებაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობას აძლევს. მოკლედ რომ ვთქვათ, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა არა მხოლოდ ეკოსისტემური სერვისების შეფასების პროცესს ამდიდრებს, არამედ ხელს უწყობს ეკოსისტემების ეფექტიან მართვას ადგილობრივი თემების საკეთილდღეოდ.

ეკოსისტემური სერვისების დარუკების სემინარის საშუალებით ყველა მომხმარებელს, მათ შორის ეროვნულ სატყეო სააგენტოს, შეუძლია უსასყიდლოდ მიიღოს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაცია არასაკმარისია.

ტყის ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკების სემინარი მოიცავს პრეზენტაციებს ეკოსისტემური სერვისების შესახებ, ჯგუფურ განხილვებს, მონაწილეობითი დარუკების სავარჯიშოებს და ინტერაქტიურ ღონისძიებებს მონაწილეების ჩართულობის დონის ასამაღლებლად.

მონაწილეთა სია (ადგილობრივ მრჩეველთა საბჭო (LAC), სახელმწიფო უწყებები, ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები) წინასწარ მზადდება.

**ეკოსისტემური სერვისების დარუკების პროტოკოლი**

i. **მუნიციპალიტეტის დონეზე ზოგადი ხასიათის ინფორმაციის შეგროვება:** თავიდან უნდა ჩატარდეს სხვადასხვა კვლევებისა და დოკუმენტების ანალიზი ეკოსისტემური სერვისების უზრუნველსაყოფად საჭირო ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემების გამოსავლენად. ასევე უნდა შეგროვდეს ისეთი კარტოგრაფიული მონაცემები, როგორიცაა გზები, მდინარეები, დასახლებები, ტყეები, მდინარეები და წყალშემკრებები. ეს ინფორმაცია თავს მოიყრის დეტალურ რუკებზე, რომლებიც გადაეცემა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებს (LAC) შემდგომი დამუშავებისათვის.

ii. **აქტიური მუშაობა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებთან (LAC):** ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებთან (LAC) ეფექტიანი მუშაობა კარგ კომუნიკაციასა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას უზრუნველყოფს. ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ შერჩეული კომპანია ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებს (LAC) ჩაუტარებს ტრენინგს ტყის ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკების საკითხებზე. ტრენინგი ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებს (LAC) დარუკების წესებსა და მექანიზმებს შეასწავლის. ტრენინგის შემდეგ საბჭოები, მონაწილეობითი პრინციპების გამოყენებით ადგილზე არსებული ინფორმაციის შესაგროვებლად, რუკებს საკუთარ თემებში წაიღებენ.

iii. **შეგროვებული მონაცემების სისტემატური ანალიზი და დიგიტალიზაცია:** მას შემდეგ, რაც ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეაგროვებენ მონაცემებს ტყის ეკოსისტემური სერვისების შესახებ, კონტრაქტორი კომპანია მათთან შეხვედრას მოაწყობს. შეხვედრის დროს განიხილება მოსაზრებები მონაცემთა შეგროვების პროცესთან დაკავშირებით და შეგროვდება ტყის ეკოსისტემური სერვისების რუკები მათი დიგიტალიზაციის მიზნით. ეს არსებულ მონაცემებში ადგილობრივი ცოდნის სათანადოდ ჩართვას უზრუნველყოფს.

iv. **მონაცემების დადასტურება:** ციფრული მონაცემების სიზუსტისა და სანდოობის გადასამოწმებლად ტარდება მონაცემების დადასტურების პროცესი. ეს პროცესი აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეგროვებული ინფორმაცია ასახავდეს ეკოსისტემური სერვისების რეალურ მდგომარეობას და რომ შესაძლებელი იყოს ამ ინფორმაციის თამამად გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისას.

v. **საჯარო განხილვა:** მონაცემთა დადასტურების შემდეგ ეწყობა საჯარო განხილვა საზოგადოებისათვის გადამოწმებული მონაცემების წარსადგენად და საჯარო დისკუსიის დასაწყებად. განხილვას მიზნად ისახავს გამჭვირვალობის ხელშეწყობას, დამატებითი ინფორმაციის შეგროვებას და ეკოსისტემურ სერვისებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის წახალისებას.

vi. **დადასტურებული მონაცემების შეტანა ტყის მართვის გეგმაში:** დადასტურებული მონაცემების შეტანა ტყის მართვის გეგმაში მისი ეფექტიანობისა და სიზუსტის გასაუმჯობესებლად.

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| 1 | მიზნების განსაზღვრა | ეკოსისტემური სერვისების დარუკების ძირითადი მიზნის, როგორიცაა, მაგალითად, ბიომრავალფეროვნების შეფასება, რესურსების მართვა ან კონსერვაციის დაგეგმვა, განსაზღვრა. მკაფიო მიზნები ხელს უწყობს შესაბამისი მეთოდების შერჩევასა და მონაცემთა შეგროვებას. |
| 2 | ეკოსისტემის საზღვრების დადგენა | დარუკებას დაქვემდებარებული ტერიტორიის განსაზღვრა. მკაფიო სივრცითი საზღვრების დადგენა ისეთი ბუნებრივი მახასიათებლების |

| | | |
|---|---|---|
| | | გათვალისწინებით, როგორიცაა წყალგამყოფი, მცენარეული ზონები ან ადმინისტრაციული საზღვრები. |
| 3 | არსებული მონაცემების შესწავლა | არსებული მონაცემების, მათ შორის ტოპოგრაფიული რუკების, სატელიტური გამოსახულებების, მიწათსარგებლობის შესახებ ინფორმაციის და ადრე ჩატარებული ეკოლოგიური კვლევების შეგროვება და ანალიზი. ეს არსებული ვითარების დადგენასა და მონაცემების ხარვეზების იდენტიფიცირებაში დაგვეხმარება. |
| 4 | დარუკების მეთოდების შერჩევა | ეკოსისტემის ტიპსა და მიზნებზე დაყრდნობით დარუკების შესაბამისი მეთოდების შერჩევა, მაგალითად, საველე კვლევები, დისტანციური ზონდირება (მაგ., GIS, აერო ფოტოგადაღება) ან მათი კომბინაცია. |
| 5 | ეკოსისტემების კლასიფიკაცია | დარუკების არეალში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის ეკოსისტემებისთვის (მაგ., ტყეები, ჭარბტენიანი ტერიტორიები, მდელოები) კლასიფიკაციის სისტემის შემუშავება. სისტემა უნდა ეფუძნებოდეს მცენარეულობის ტიპებს, ნიადაგის სახეებსა და სხვა შესაბამის ფაქტორებს. |
| 6 | დაინტერესებული მხარეების ჩართულობა | მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მიწის მესაკუთრეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება ეკოსისტემის ისტორიის შესახებ, მის გამოყენებასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ღონისძიებები ასევე უნდა მოიცავდნენ ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) ტრენინგს ეკოსისტემური სერვისების დარუკების შესახებ. |
| 7 | მონაცემთა ინტეგრაცია და ანალიზი | საველე მონაცემების, სატელიტური გამოსახულებებისა და ნებისმიერი სხვა არსებული ინფორმაციის თავმოყრა და ინტეგრირება გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაში (GIS). ეკოსისტემაში არსებული სივრცითი ურთიერთდამოკიდებულების, მოდელებისა და ტენდენციების ანალიზი. |
| 8 | ეკოსისტემის რუკების შედგენა | დეტალური რუკების შედგენა, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება ეკოსისტემის სხვადასხვა ტიპები, ჰაბიტატების მდგომარეობა და მიწათსარგებლობის სახეები. რუკები უნდა იყოს ზუსტი, ადვილად ინტერპრეტირებადი და შესაბამისი მასშტაბის. |
| 9 | დადასტურება და ადგილზე გადამოწმება | სიზუსტის უზრუნველსაყოფად, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ/კომპანიამ ეკოსისტემური სერვისების რუკები საველე კვლევების საშუალებით უნდა გადაამოწმონ. ადგილზე გადამოწმება გულისხმობს რუკაზე დატანილი მონაცემების რეალურ ვითარებასთან შედარებას შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით. |
| 10 | ანგარიშგება და დოკუმენტაციის შედგენა | დარუკების პროცესის, მეთოდოლოგიებისა და დასკვნების შესახებ დეტალური ანგარიშების მომზადება. ანგარიშებში წარმოდგენილი უნდა იყოს ეკოსისტემის ტიპების აღწერილობა, სახეობების გავრცელება და გამოვლენილი საფრთხეები ან კონსერვაციის პრიორიტეტები. |
| 11 | მართვის რეკომენდაციების შემუშავება | დარუკების შედეგების საფუძველზე მართვის ან კონსერვაციის ზომების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება. რეკომენდაციები შეიძლება მოიცავდეს დაცვის ზომებს, აღდგენის ღონისძიებებს ან მდგრადი გამოყენების სტრატეგიებს. |

| | | |
|---|---|---|
| 12 | მონიტორინგი და რუკების განახლება | მონიტორინგის გეგმის შედგენა ეკოსისტემაში დროთა განმავლობაში მიმდინარე ცვლილებების დასაფიქსირებლად. რუკებისა და მონაცემების რეგულარულად განახლება ახალი მოვლენებისა თუ გარემოს ცვლილებების სათანადოდ ასახვის მიზნით. |
| *უკეთესი იქნება ამოცანების (№1-6) შესრულების დაწყება შეხვედრებამდე. ეს გააადვილებს ადგილობრივი ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის სწრაფად მოპოვებას.*<br><br>*წინასწარი რუკების მომზადებისა და მეთოდების შერჩევისთანავე ხდება მათი წარდგენა.*<br><br>*შეხვედრა უნდა მოაწყოს ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ დაქირავებულმა კომპანიამ, რომელიც ტყის ინვენტარიზაციას ატარებს. ამის შემდეგ ადგილობრივ მრჩეველთა საბჭომ (LAC) უნდა აიღოს რუკები, დამოუკიდებლად დაამუშაოს ისინი და შემდეგ კომპანიას დაუბრუნოს.* | | |

ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობაში ადგილობრივი სამსახურებისა და მუნიციპალური ადმინისტრაციების ჩართვა მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მობილიზებისა და აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. უაღრესად მნიშვნელოვანია გამოცდილი სპეციალისტის (ეროვნული სატყეო სააგენტოს ამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელი) დანიშვნა ფასილიტატორად, რომელიც პროცესს ტყის მართვის გეგმის დასრულებამდე წარუძღვება. ეს ფასილიტატორი უზრუნველყოფს შეხვედრების მოდერაციას, ხელს შეუწყობს შეთანხმებების მიღწევას, მონაწილეობას მიიღებს დოკუმენტაციის მომზადებაში და უხელმძღვანელებს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისა და ანალიზის სამუშაოებს.

გარდა ამისა, შერჩეული კომპანია აქტიურ როლს არა მხოლოდ ტყის ინვენტარიზაციაში, არამედ ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის ყველა ეტაპზე შეასრულებს. ასეთი თანამშრომლობა უზრუნველყოფს კომპანიის ცოდნისა და გამოცდილების სრულად გამოყენებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტყის მართვის ეფექტიანი და მდგრადი პრაქტიკის დანერგვას.

ეკოსისტემური სერვისების დარუკების დეტალური პროტოკოლი იხ. დანართი X – ეკოსისტემური სერვისების დარუკების ანალიზი.

მონაცემების შეგროვების შემდეგ უნდა მოხდეს შეგროვებული მონაცემების სისტემატური ანალიზი და დიგიტალიზაცია. პარალელურად უნდა ჩატარდეს ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) შეხვედრები მონაცემების სიზუსტისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ციფრულმა მონაცემებმა უნდა გაიაროს დადასტურების პროცედურა მათი სიზუსტისა და სანდოობის შემოწმების მიზნით. ამის შემდეგ ტარდება საჯარო განხილვა, სადაც მოხდება გადამოწმებული მონაცემების წარდგენა, რაც ხელს შეუწყობს საჯარო დისკუსიას და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების პრაქტიკის დანერგვას.

ბოლოს უნდა მოხდეს დადასტურებული მონაცემების ტყის მართვის გეგმაში ასახვა, რაც გაზრდის მის ეფექტიანობასა და სიზუსტეს. ზოგადად, ეს პროტოკოლი ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას, მონაცემებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღებას და

ტყის მართვის გამჭვირვალობას, რაც მნიშვნელოვანია ეკოსისტემების მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად.

### ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ეროვნული სატყეო სააგენტო:

- ეროვნული სატყეო სააგენტო აცხადებს ტენდერს კონკრეტული მუნიციპალიტეტისთვის ტყის მართვის გეგმის განსახორციელებლად.
- გამარჯვებული კონტრაქტორი კომპანია იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტყის ბეჭდურ რუკებს და ადგილობრივ მრჩეველთა კომიტეტს (LAC) უკავშირდება.
- ეროვნული სატყეო სააგენტო განიხილავს კონტრაქტორი კომპანიის მიერ წარდგენილ ტყის მართვის გეგმას.
- ტყის მართვის შემოთავაზებულ გეგმასთან დაკავშირებით იმართება საჯარო განხილვა.
- ტყის მართვის გეგმა ოფიციალურად დამტკიცებულია.

კონტრაქტორი კომპანია:

- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ რუკების მიწოდების შემდეგ, კონტრაქტორი კომპანია აწყობს ტრენინგებს ადგილობრივ მრჩეველთა კომიტეტთან (LAC) რუკებზე ტყის ეკოსისტემური სერვისების ასახვის საკითხებზე.
- კონტრაქტორი კომპანია რუკებს ადგილობრივ მრჩეველთა კომიტეტის (LAC) წევრებს გადასცემს და აძლევს მათ გარკვეულ დროს სამუშაოს შესასრულებლად.
- დასრულებული რუკების მიღებისთანავე კონტრაქტორი კომპანია იწყებს მონაცემთა დიგიტალიზაციის პროცესს.
- ციფრული მონაცემების ადგილზე დადასტურება მათი სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
- დადასტურებული მონაცემების ტყის მართვის გეგმაში შეტანა.

ადგილობრივ მრჩეველთა კომიტეტები (LAC):

- ტრენინგი ტყის ეკოსისტემური სერვისებისა და მათი დარუკების შესახებ.
- მუშაობა ადგილობრივ მოსახლეობასთან რუკებზე სწორი ინფორმაციისა და სწორად დატანის უზრუნველსაყოფად.
- საბოლოო შედეგების მიწოდება კერძო კონტრაქტორისთვის.
- უწყვეტი კომუნიკაცია ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და კონტრაქტორთან.
- საჯარო განხილვებზე დასწრება და საკუთარი წვლილის შეტანა საზოგადოების ჩართულობისა და მობილიზაციის გასაძლიერებლად.

### რუკებზე მუშაობის მეთოდები:

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებთან (LAC) შეხვედრამდე უნდა მომზადდეს იმ მუნიციპალიტეტის **საბაზისო** რუკა, რომელშიც ტყის მართვის დაგეგმვა მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის სიდიდისა და ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) იმ წარმომადგენლების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც პროცესში მონაწილეობენ, რუკა ნაწილებად უნდა დაიყოს. თითოეული ნაწილი აღჭურვილი უნდა იყოს რუკაზე სწორად და ეფექტიანად მუშაობისთვის აუცილებელი საშუალებებით. ესენია:

1. **სახელწოდება:** მკაფიოდ ასახავს რუკის მიზანსა და დანიშნულებას.
2. **ლეგენდა (სიმბოლური ნიშნების განმარტება):** განმარტავს რუკაზე გამოყენებულ სიმბოლოებს, ფერებსა და ნიშნებს, რაც აადვილებს რუკის წაკითხვას.
3. **მასშტაბი:** წარმოადგენს თანაფარდობას რუკაზე წარმოდგენილ მანძილებსა და რეალურ მანძილებს შორის, რაც გაზომვის სიზუსტეს უზრუნველყოფს.
4. **ორიენტაცია:** კომპასის გამოსახულება, რომელიც გვიჩვენებს მიმართულებებს (N, S, E, W) და გვეხმარება რუკაზე ორიენტაციაში.
5. **წარწერები:** ძირითადი ადგილების, ობიექტებისა და ღირსშესანიშნაობების დასახელებები.
6. **ბადე:** კოორდინატთა სისტემა (როგორიცაა გრძედი და გრძედი) ზუსტი მდებარეობის დასადგენად.
7. **ფერებით კოდირება:** განსხვავებული ობიექტების, როგორიცაა რელიეფის ტიპები, წყლის ობიექტები და ურბანული ტერიტორიები, ერთმანეთისგან გასარჩევად სხვადასხვა ფერი გამოიყენება.
8. **ჩანართი რუკები:** უფრო მცირე ზომის, დეტალური რუკები საინტერესო ობიექტების საჩვენებლად ან კონტექსტის დასამატებლად.
9. **ეკოსისტემური სერვისების ნუსხა ნუმერაციით:** ეკოსისტემური სერვისების კატალოგი, რომელიც რუკაზე დატანილ უნიკალურ ნომრებს შეესაბამება.
10. **სპეციალური სამუშაო სივრცე (არასავალდებულო):** ადგილი, რომელზეც რუკის მომხმარებლებს საკუთარი შენიშვნების ან ცვლილებების დატანა შეუძლიათ.

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წევრები შეისწავლიან ეკოსისტემური სერვისების დარუკების მეთოდებს და შემდეგ ამ ცოდნას ადგილობრივ მოსახლეობას გაუზიარებენ. მაგალითად, რუკაზე ეკოსისტემის სერვისების მონიშვნისას, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წევრები ეკოსისტემის სერვისების დანომრილი ნუსხით იხელმძღვანელებენ:

- **წერტილი:** რუკაზე კონკრეტული ობიექტის (მაგ., წყლის წყაროს) დატანისას ისინი სვამენ წერტილს და მას შესაბამის ნომერს ანიჭებენ.
- **მრავალკუთხედი:** დიდი ფართობის მქონე ობიექტის (მაგ., საძოვრები) შემთხვევაში ისინი შემოხაზავენ მის საზღვარს და შესაბამის ნომერს მიუწერენ.
- **ხაზი:** ხაზოვანი ობიექტების (მაგ., ბილიკები) შემთხვევაში, ისინი მარშრუტის გასწვრივ ხაზს დახატავენ და შესაბამის რიცხვს მიუწერენ.

თუ კონკრეტული ეკოსისტემური სერვისი წინასწარ განსაზღვრულ ნუსხაში არ არის შეტანილი, რუკაზე შენიშვნებისთვის სპეციალური ადგილია გამოყოფილი, სადაც ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წევრებს შეუძლიათ აღწერონ სერვისი, მიანიჭონ მას ახალი ნომერი და დაურთონ

რუკები ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) ყველა წევრს უნდა დაურიგდეს. რუკები, რომლებზეც ნაჩვენები იქნება სოფლების მიმდებარე ტერიტორიები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი სოფლების მცხოვრებლებისთვის. სასურველია რუკების დაბეჭდვა A3 ფორმატში საველე სამუშაოებისა და სათემო კონსულტაციების დროს ადვილად გამოსაყენებლად და სატარებლად.

## კერძო კომპანიის როლი ეკოსისტემური სერვისების დარუკების პროცესის ჩატარებაში

ზემოთ ჩამოთვლილ პროტოკოლებსა და ეკოსისტემური სერვისების დარუკების ტექნიკურ კომპონენტებზე დაყრდნობით, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ დაქირავებულ კომპანიას, რომელიც ტყის მართვის გეგმაზე მუშაობს, შემდეგი ეტაპობრივი პროცესის ჩატარება შეუძლია:

1. ინფორმაციის წინასწარი დამუშავება:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეისწავლის და დაამუშავებს შესაბამის ინფორმაციას და მას რუკებზე დაიტანს. ინფორმაციის შესწავლა მოიცავს ეროვნულ დონეზე ეკოსისტემური სერვისების შესახებ სხვადასხვა უწყებებში (ეროვნული სატყეო სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, გარემოს ეროვნული სააგენტო, და სხვ.) არსებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს.

2. რუკების გავრცელება და ტრენინგი:

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო რუკებს გადასცემს კომპანიას, რომელიც შემდეგ რუკების ბეჭდურ ასლებს ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წევრებს და სოფლების რწმუნებულებს მიაწვდის.
- კომპანია ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წევრებს ჩაუტარებს ტრენინგს და მათ რუკების წასაკითხად და ეფექტიანად გამოსაყენებლად საჭირო უნარებს გამოუმუშავებს.

3. მაღალი დონის შეხვედრები და კომენტარების შეგროვება:

- ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წევრები და სოფლების რწმუნებულები ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს ჩაუტარებენ ტრენინგებს რუკების განხილვისა და კომენტარების მიღების მიზნით.
- მიღებული კომენტარები გადაეცემა კომპანიას ანალიზისა და გადამოწმებისათვის.

4. ინფორმაციის გადამოწმება:

- კომპანია გადაამოწმებს საველე სამუშაოების დროს შეგროვებულ ინფორმაციას და დამოწმებულ მონაცემებს ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) დაუბრუნებს.
- ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წევრები გადამოწმებულ ინფორმაციას (რომელიც ასახულის ტყის მართვის გეგმაში) გაუზიარებს ადგილობრივ

დაინტერესებულ მხარეებს გამჭვირვალობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

**ეკოსისტემური სერვისების დარუკების ჩარჩო მექანიზმის პროტოკოლის რეზიუმე:**

**"ეკოსისტემური სერვისების დარუკების პროტოკოლი"** აღწერს ტყის მართვაში ეკოსისტემური სერვისების ინტეგრირების კომპლექსურ მიდგომას. პროცესის დასაწყისში უნდა ჩატარდეს სხვადასხვა კვლევებისა და დოკუმენტების ანალიზი ეკოსისტემური სერვისების უზრუნველსაყოფად საჭირო ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემების გამოსავლენად. ასევე უნდა შეგროვდეს ისეთი კარტოგრაფიული მონაცემები, როგორიცაა გზები, მდინარეები, დასახლებები, ტყეები, მდინარეები და წყალშემკრებები. ეს ინფორმაცია თავს მოიყრის დეტალურ რუკებზე, რომლებიც გადაეცემა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებს (LAC) შემდგომი დამუშავებისათვის.

პროტოკოლი ხაზს უსვამს ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებთან (LAC) აქტიური მუშაობის მნიშვნელობას საიმედო კომუნიკაციისა და ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად. შერჩეული კომპანია ჩაატარებს ტრენინგებს ტყის ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკების საკითხებზე, რაც ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებს (LAC) დარუკების მეთოდების შესწავლისა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობას მისცემს.

## 2. ფოკუს ჯგუფების სემინარებისა და დისკუსიების ჩატარება

მიზანი: ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებისთვის (LAC) ეკოსისტემური სერვისების დარუკების შედეგების წარდგენა, ადგილობრივ დონეზე არსებული დამატებითი ინფორმაციის შეგროვება და ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული პოტენციური კონფლიქტებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების დოკუმენტურად დაფიქსირება.

ხანგრძლივობა: 30 დღე

დამოკიდებულება: ეკოსისტემური სერვისების დარუკება (ფაზა 2, აქტივობა 1 – ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკება)

აუცილებელია ეკოსისტემური სერვისების დარუკების შედეგების წარდგენა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის. განხილვისას ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოსისტემური სერვისების დარუკების შესაძლო გავლენას ტყის მართვის გეგმებზე, მათ შორის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ პოტენციურ კონფლიქტებზე. ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვა მიწის გამოყენების სხვადასხვა ფორმებსა და ეკოსისტემურ სერვისებს შორის არსებული კომპრომისების უკეთ გაგების შესაძლებლობას მოგვცემს. ძალიან მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების პოზიციებისა და მოსაზრებების გაგება ტყის

მართვის გეგმაში ადგილობრივი თემების, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გასათვალისწინებლად.

**ფოკუს ჯგუფების სემინარებისა და დისკუსიების ჩატარების პროტოკოლი**

**წამყვანი უწყება: ეროვნული** სატყეო სააგენტო

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I | მომზადება | • GIS-ის, Google Earth-ის ან სხვა პროგრამების საშუალებით და რუკების, სქემებისა და ინფოგრაფიკების გამოყენებით ეკოსისტემური სერვისების დარუკების მონაცემების ვიზუალიზაცია მრავალფეროვანი აუდიტორიის მიერ მათი აღქმისა და გაგების გასაადვილებლად.<br>o ანალიზში ძირითადი ეკოსისტემური სერვისების, მათი მდგომარეობისა და კონფლიქტების შესაძლო კერების ხაზგასმა.<br>• ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) მობილიზება.<br>• შეხვედრის ჩატარების ადგილის დაჯავშნა.<br>• **აღჭურვილობა**<br>o ლეპტოპი<br>o პროექტორი პრეზენტაციებისთვის<br>o წებოვანი ფურცლები<br>o წებოვანი ფურცლების დაფა<br>o კალმები<br>o ფურცლები / ბლოკნოტები |
| II. | სემინარის ჩატარება | • ძირითადი შედეგების მიმოხილვა, ტყის მართვის არსებულ ან პოტენციურ პრაქტიკასა და მიწათსარგებლობის არსებულ ფორმებთან მათ კავშირებზე ყურადღების გამახვილებით.<br>• რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ან გამოვლენილი კონფლიქტების განხილვა და მათი შერბილების იდეების შეთავაზება.<br>• ღია დისკუსიის უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეებისთვის საკუთარი შეხედულებებისა და წუხილების გაზიარების შესაძლებლობის მიცემის გზით.<br>• ტყის მართვის გეგმებში ცვლილებების შეტანის ან მათი მომზადების დროს ეკოსისტემური სერვისების დარუკების შედეგების მნიშვნელობის ხაზგასმა. ყურადღების გამახვილება ეკოსისტემური სერვისების დაცვასა და მდგრად ეკონომიკურ საქმიანობებს შორის ბალანსზე.<br>• დაინტერესებული მხარეების მიერ ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული კონფლიქტების |

| | | |
|---|---|---|
| | | მართვის ან გადაჭრის შესაძლო გადაწყვეტილებების შემუშავებაში საკუთარი წვლილის შეტანის წახალისება და ამ გზით ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობა. |
| III | ეკოსისტემური სერვისების რუკების განახლება | • განახლებული შედეგების რუკებზე ასახვა. |
| **შედეგი** | | • ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები (LAC) ინფორმირებული არიან ეკოსისტემური სერვისების დარუკების შედეგების შესახებ; ეკოსისტემური სერვისების რუკების განახლებულია. |

3. ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებული საველე სამუშაოების შედეგების სემინარი

**მიზანი**: საველე სამუშაოების შედეგების წარდგენა და განხილვა, აგრეთვე ტყის მდგრად მართვაზე მათი გავლენის, ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაძლო კონფლიქტების და ტყის მართვის გეგმის შემუშავების მომდევნო ეტაპების წარდგენა.

**ხანგრძლივობა:** 30 დღე

**დამოკიდებულება:** ფოკუს ჯგუფების სემინარები და დისკუსიები ჩატარებულია (ფაზა 2, აქტივობა 2-ის - ფოკუს ჯგუფების სემინარებისა და დისკუსიების ჩატარება შედეგი)

**წამყვანი უწყება:** ეროვნული სატყეო სააგენტო/კომპანია

საველე სამუშაოების შედეგები იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ტყის მდგომარეობის, ბიომრავალფეროვნების, რესურსების ხელმისაწვდომობისა და მიწათსარგებლობის ფორმების შესახებ, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ტყეების მართვა.

ამ ღონისძიებაზე მოხდება არა მხოლოდ საველე სამუშაოებს შედეგების წარმოდგენა, არამედ მსჯელობა იმაზე, თუ რა ზემოქმედებას მოახდენენ მიღებული შედეგები ტყის მართვის გეგმის პრინციპებზე, კერძოდ ეკოსისტემების ჯანმრთელობის შენარჩუნების პარალელურად ტყის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფაზე. ხაზი უნდა გაესვას პოტენციურ კონფლიქტებს მიწის გამოყენების ისეთ სხვადასხვა ფორმებს შორის, როგორიცაა კონსერვაცია, ხე-ტყის დამზადება, ტურიზმი და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რესურსების გამოყენება. დაინტერესებულმა მხარეებმა საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები უნდა წარმოადგინონ.

გარდა ამისა, სემინარზე უნდა გამოიკვეთოს ტყის მართვის გეგმების შემუშავების მომდევნო ნაბიჯები, როგორიცაა ტყის მართვის დაგეგმვაში საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებული მონაცემების ასახვის გრაფიკი, აგრეთვე კონსულტაციებისა და განხილვის ვადები და გეგმების ერთობლივად შემუშავებაში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურად ჩართვის სტრატეგიები.

**ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებული საველე სამუშაოების შედეგების სემინარის პროტოკოლი**

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I | მომზადება | • საველე სამუშაოს შედეგად მოპოვებული მონაცემების შეკრება და ორგანიზება თვალსაჩინო ვიზუალურ ფორმატში (რუკები, სქემები, გრაფიკები) ყველა მონაწილისთვის ადვილად გასაგებად.<br>• ტყის სიჯანსაღესთან, ბიომრავალფეროვნებასთან, ეკოსისტემურ სერვისებსა და რეგიონში ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი დასკვნების ხაზგასმა.<br>• ტექნიკური ინფორმაციის ახსნა არაექსპერტი დაინტერესებული მხარეებისთვის გასაგებ ენაზე.<br>• ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) მობილიზება.<br>• შეხვედრის ჩატარების ადგილის დაჯავშნა.<br>• **აღჭურვილობა**<br>o ლეპტოპი<br>o პროექტორი პრეზენტაციებისთვის<br>o წებოვანი ფურცლები<br>o წებოვანი ფურცლების დაფა<br>o კალმები<br>o ფურცლები / ბლოკნოტები |
| II | 3. ტყის მართვის დაგეგმვასთან დაკავშირებული საველე სამუშაოების შედეგების სემინარი | • პოტენციური კონფლიქტების კერების იდენტიფიცირება - იქნება ეს მიწის გამოყენების სხვადასხვა ფორმებს თუ დაინტერესებულ მხარეებს შორის - და მონაცემების საფუძველზე გაკეთებული დასკვნების გაზიარება იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას მოახდენს ეს კონფლიქტები ტყის გრძელვადიან მდგრადობაზე.<br>• კონფლიქტების მოგვარების იდეების ან ჩარჩოების შეთავაზება ტყის მონაწილეობითი მართვის საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე.<br>• დაინტერესებული მხარეებისთვის საკუთარი აზრების, წუხილებისა და რეკომენდაციების გაზიარების შესაძლებლობის მიცემა. |
| **შედეგი** | | საველე სამუშაოების შედეგები წარდგენილია ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსთვის (LAC), კომენტარები მიღებულია. |

## 5.1.4 ფაზა 3: მონაწილეობა ტყის მართვის გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაში

ხანგრძლივობა: 3 თვე

1. ტყის საზღვრების შესახებ უწყებათაშორისი შეთანხმება როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე

მიზანი: ტყის საზღვრების თაობაზე კონსენსუსის მიღწევა ტყის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად და სერტიფიცირების შესაძლებლობების შესასწავლად.

ხანგრძლივობა: 10 დღე

**დამოკიდებულება:**
სახელმწიფო უწყებებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა და ერთობლივი მუშაობა.

ამ ფაზის მთავარ მიზანს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, ტყეების ზუსტი საზღვრების შესახებ მკაფიო და ერთსულოვანი შეთანხმების მიღწევა წარმოადგენს. კონსენსუსი აუცილებელია ტყის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, რადგან ამ გზით ტყეებზე იურისდიქცია, პასუხისმგებლობა და ტყეების სამართლებრივი სტატუსი დგინდება. შეთანხმების მისაღწევად საჭიროა ინტენსიური თანამშრომლობა, მონაცემთა გაზიარება და დარუკების მეთოდების ცოდნა იმისათვის, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ერთნაირად ესმოდეს საზღვრები და იცოდეს, თუ რა შედეგებთან არის ეს დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ტყის მართვის არსებული გეგმები სერტიფიცირების მოთხოვნას არ ითვალისწინებენ, აუცილებელია ვაღიაროთ ის ფართო პერსპექტივა, რომელსაც ტყის მართვის გეგმები გვთავაზობენ. ტყის მართვის გეგმა არ არის მხოლოდ დოკუმენტი, რომელიც ტყის მართვაში არსებულ გამოწვევებს ეხება; ტყის მართვის გეგმა არის ტყეების ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენების სტრატეგიული ხედვაც. ტყის სერტიფიცირების თემის ამოწევით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ არის შესაძლებელი ტყის მართვის მომავალ გეგმებში ამ მნიშვნელოვანი ასპექტის ინტეგრირება.

ტყის მართვის დაგეგმვის სისტემაში სერტიფიცირების დანერგვა ტყის მართვის პრაქტიკას მდგრადი განვითარების მიზნებთან დააახლოებს და კონსერვაციისკენ მიმართულ ღონისძიებებსაც მნიშვნელოვნად წაახალისებს. სერტიფიცირებას შეუძლია წაახალისოს ხე-ტყის დამზადების პასუხისმგებლიანი პრაქტიკის ფართოდ გავრცელება, გაზრდოს ტყის პროდუქტების საბაზრო მიმზიდველობა და საბოლოოდ ჯამში, ხელი შეუწყოს ტყის რესურსების მდგრად გამოყენებას. გარდა ამისა, ტყის მართვის მომავალ გეგმებში სერტიფიცირების ჩართვა ხელს შეუწყობს ტყის უფრო ეფექტიანად ზონირებას, რაც კონსერვაციის მიზნებთან მიწის გამოყენების სხვადასხვა ფორმების შესაბამისობას უზრუნველყოფს. სერტიფიცირების ინტეგრირების ასეთი პროაქტიური მიდგომა დააბალანსებს ურთიერთობას ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს დაცვას შორის, რაც სარგებელს მოუტანს როგორც იმ თემებს, რომლებიც ამ რესურსებზე არიან დამოკიდებული, ასევე ეკოსისტემებს, რომლებიც ამ რესურსებს უზრუნველყოფენ.

**ტყეების კატეგორიზაცია**

ტყის მართვის გეგმეში ტყის სტრუქტურული კატეგორიზაციის ჩართვა აუცილებელია კონკრეტული მიზნებისათვის, როგორიცაა რეკრეაცია, კონსერვაცია და ხე-ტყის დამზადება, ტერიტორიების გამოყოფის გზით მდგრადი მიწათსარგებლობის უზრუნველსაყოფად. დარგთაშორისი საკითხების მოგვარებისა და სხვადასხვა დარგების ინტერესების დაახლოებით კატეგორიზაცია მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული კონფლიქტების მინიმუმამდე შემცირებას და სხვადასხვა სახის საქმიანობების თანაარსებობას უწყობს ხელს. ეროვნული დონის პარამეტრები რეგიონებისათვის ერთიან ჩარჩოს ქმნიან. ამ გზით ისინი ტყის მართვის ერთგვაროვნებას უზრუნველყოფენ, თუმცა ადგილობრივ დონეზე ადაპტაციის საშუალებასაც იძლევიან. ასეთი მოქნილობა უზრუნველყოფს ტყის მართვის პრაქტიკაში თითოეული კონკრეტული ტერიტორიის უნიკალური ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებას, რაც ტყის მართვის პრაქტიკის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზრდის.

რეკრეაციული ტყეებისათვის პარამეტრების განსაზღვრა გულისხმობს სტრუქტურირებულ მიდგომას, რომელიც როგორც ეროვნულ სახელმძღვანელო მითითებებს, ასევე ადგილობრივ თავისებურებებს ითვალისწინებს. ეს პროცესი შეიძლება ორ ძირითად კომპონენტად დაიყოს:

1. **ეროვნული დონის პარამეტრების განსაზღვრა რეკრეაციული ტყეებისთვის:**
    - ზოგადი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება, რომლებიც გავრცელდება ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით იმ ასპექტებზე, რომლებიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით. ეს მოიცავს ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა რეკრეაციული ზონები, რომლებიც განსაზღვრულია დასახლებებთან სიახლოვის, ხელმისაწვდომობისა და გამოყენების პოტენციური სახეების საფუძველზე. ეს ეროვნული პარამეტრები უზრუნველყოფენ ერთიან ჩარჩოს რეკრეაციული ტყეების ზონირების თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.
2. **კონკრეტული ტყეებისათვის ადგილობრივი დარგთაშორისი საკითხების გადაჭრა:**
    - ტყეების ინვენტარიზაციის პროცესში თითოეული კონკრეტული ტყისთვის დამახასიათებელი დარგთაშორისი საკითხების მოგვარება. ნებისმიერი კონფლიქტის მოსაგვარებლად ან საჭიროების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ისეთ დარგებს შორის თანამშრომლობა, როგორიცაა ტურიზმი, კონსერვაცია და ადგილობრივი განვითარება. მოგვარების გზების ადგილობრივ პირობებზე მორგებით, ეს მიდგომა ზონირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თითოეული ტერიტორიის უნიკალურ ეკოლოგიურ და სოციალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

## 2. ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიაზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვა ფოკუს ჯგუფებში დისკუსიების ჩატარების გზით

**მიზანი**: ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიისა და ტყის მდგრად მართვაზე მისი გავლენის, აგრეთვე ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაძლო კონფლიქტების წარდგენა და განხილვა. დაინტერესებული მხარეებისგან მოსაზრებებისა და ინფორმაციის შეგროვება. ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მიერ ტყის

მართვის გეგმის ერთობლივად განხორციელების მიზნით ადგილობრივი ინიციატივების იდენტიფიცირება და დახმარების შესაძლო მექანიზმებზე შეთანხმება. ტყის მართვის გეგმაში შეთანხმებების გათვალისწინების გადამოწმება, ხოლო მათი არგათვალისწინების შემთხვევაში - მიზეზის დადგენა. ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიაზე დაინტერესებული მხარეების შესაბამის ჯგუფებთან შეთანხმების მიღწევა და საბოლოო გადაწყვეტილებებისა და შეუთანხმებელი საკითხების დაფიქსირება.

**ხანგრძლივობა:** 30 დღე

**დამოკიდებულება:** საველე სამუშაოების შედეგები წარდგენილია ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოსთვის (LAC), კომენტარები მიღებულია (ფაზა 2-აქტივობა 3-ის და ფაზა 3-აქტივობა 1-ის შედეგი)

**წამყვანი უწყება:** ეროვნული სატყეო სააგენტო

შეხვედრის მიზანია ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებზე მისი შედეგების გავლენის წარდგენა და განხილვა, ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული შესაძლო კონფლიქტების გამოვლენა და გეგმაზე მუშაობის დასრულება დაინტერესებულ მხარეებთან კონსენსუსის მიღწევის გზით. საბოლოო ვერსიაზე ყველა დაინტერესებული მხარე უნდა შეთანხმდეს, ხოლო გადაწყვეტილება და გადაუჭრელი საკითხი წერილობით უნდა დაფიქსირდეს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

**ფოკუს ჯგუფებში დისკუსიების ჩატარების გზით ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიაზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვის პროტოკოლი**

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I | მომზადება | • **ძირითადი კომპონენტების რეზიუმე:** ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტის რეზიუმეს მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება გეგმის ძირითადი მიზნები, მართვის პრაქტიკა და მოსალოდნელი შედეგები ტყის მდგრადი მართვის თვალსაზრისით.<br>• **მონაცემების ვიზუალიზაცია:** რუკების, სქემებისა და ინფოგრაფიკების გამოყენება ტყის მართვის გეგმის ტექნიკური ასპექტების, განსაკუთრებით **მიწათსარგებლობის, რესურსების განაწილებისა და ეკოსისტემური სერვისების** საკითხების, უკეთ ასახსნელად.<br>• **გეგმის ასლებით უზრუნველყოფა: 10 დღით ადრე** ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) ჩათვლით, ტყის მართვის გეგმის პროექტის ასლების, აგრეთვე **ადრე ჩატარებული კონსულტაციების** |

| | | |
|---|---|---|
| | | **საფუძველზე გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის** მიწოდება.<br>• ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) მობილიზება და შეხვედრის ჩატარების ადგილის დაჯავშნა<br>• **აღჭურვილობა**<br>o ლეპტოპი<br>o პროექტორი პრეზენტაციებისთვის<br>o წებოვანი ფურცლები<br>o წებოვანი ფურცლების დაფა<br>o კალმები<br>o ფურცლები / ბლოკნოტები |
| II | შეხვედრები | • **ღია დისკუსია:** ღია, სტრუქტურირებული დისკუსიის წარმოება, სადაც დაინტერესებული მხარეები შეძლებენ საბოლოო პროექტზე თავიანთი შეხედულებებს გაზიარებას. თითოეულ ჯგუფს (საზოგადოების წევრები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, ორგანიზაციები და ა.შ.) უნდა მიეცეს საკმარისი დრო საკუთარი დადებითი ან უარყოფითი პოზიციის გამოსახატად.<br>• **დიალოგის ხელშეწყობა:** დაბალანსებული დიალოგის ხელშეწყობა, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის მოსმენასა და მათი მოსაზრებების დოკუმენტირებას უზრუნველყოფს. დიდი ჯგუფების შემთხვევაში ისეთი მონაწილეობითი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა მრგვალი მაგიდები ან თემატური განხილვები.<br>• **ყურადღების გამახვილება ტყითსარგებლობასთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე**: განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული კონფლიქტებისთვის - იმ სფეროების იდენტიფირება, სადაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტების კონფლიქტს (მაგ., კომერციულ გამოყენებასა და კონსერვაციას შორის) და მუშაობა საერთო პოზიციისა ან კომპრომისების ძიების მიმართულებით.<br>• **მოსაზრებებისა და კომენტარების დოკუმენტირება.** |
| **შედეგი** | | მოსაზრებები და კომენტარები ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტზე დოკუმენტირებულია |

3. ტყის მართვის გეგმის გამოქვეყნება (5 დღე) და მასზე კომენტარების მიღებისა და დამუშავების შესაძლებლობა (40 დღე)

**მიზანი**: ტყის მართვის გეგმის გასაჯაროება შესაბამისი მუნიციპალიტეტის დაინტერესებული მხარეებისთვის მათგან დამატებითი კომენტარების მისაღებად.

**ხანგრძლივობა:** 40 დღე

**დამოკიდებულება:** მოსაზრებები და კომენტარები ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტზე დოკუმენტირებულია (ფაზა 3 – აქტივობა 2-ის შედეგი)

**წამყვანი უწყება:** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ადრე ჩატარებული ღონისძიებების დროს შეგროვებული კომენტარების საფუძველზე ტყის მართვის გეგმის დოკუმენტი უნდა გადაიხედოს და მასში დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციები და შეხედულებები უნდა იქნას გათვალისწინებული. ამის შემდეგ აუცილებელია ტყის მართვის განახლებული გეგმის გაზიარება მუნიციპალური დაინტერესებული მხარეებისთვის მათგან დამატებითი კომენტარების მისაღებად. ეს გეგმის საბოლოო ვერსიაში დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვანი ინტერესების ასახვას და არსებული პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფს.

პროცესის ხელშესაწყობად აუცილებელია ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) მობილიზება და მათთვის ტყის მართვის გეგმის შესწორებული ვერსიის რეზიუმეს ელექტრონული ფორმით მიწოდება. რეზიუმეში წარმოდგენილი უნდა იყოს მიწათსარგებლობის ძირითადი ფუნქციები, ტყის კატეგორიები და მათი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე (მაგ., ძოვება და კონსერვაცია, ხე-ტყის დამზადება vs ეკოსისტემის დაცვა). ეს ადგილობრივ მოსახლეობას მისცემს შესაძლებლობას, სრულად გააცნობიეროს ტყის მართვის გეგმის პირდაპირი გავლენა მის საარსებო საშუალებებზე და ინფორმირებული მოსაზრებები წარმოადგინოს.

## კომენტარების მისაღებად და დასამუშავებლად ტყის მართვის გეგმის დოკუმენტის გასაჯაროების პროტოკოლი

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I | **ტყის მართვის გეგმის დოკუმენტის გადახედვა** | • **დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება:** ადრე ჩატარებული ღონისძიებებისა და კონსულტაციების დროს მიღებული კომენტარების ყურადღებით შესწავლა და ტყის მართვის განახლებულ გეგმაში ძირითადი საკითხების, წუხილებისა და რეკომენდაციების, მათ შორის ტექნიკური ხასიათის შესწორებების, დაინტერესებული მხარეების თხოვნებისა და კონფლიქტების გადასაჭრელად საჭირო კომპრომისების გათვალისწინება.<br>• **ძირითადი ცვლილებების დაზუსტება:** ყველა შეტანილი ცვლილების დოკუმენტურად დაფიქსირება. მითითება იმისა, თუ რომელი დაინტერესებული მხარის მოსაზრება იქნა გათვალისწინებული და რატომ. აგრეთვე ამა თუ იმ მოსაზრების არგათვალისწინების დასაბუთებული მიზეზი<br>• **ძირითადი ელემენტები:**<br>o **მიწათსარგებლობის ფუნქციები:** ტყის ფარგლებში განსაზღვრული მიწათსარგებლობის ფუნქციები |

| | | |
|---|---|---|
| | | (მაგ., ხე-ტყის დამზადება, კონსერვაცია, რეკრეაცია) და სხვადასხვა ტერიტორიებზე მათი განაწილება.<br>o **ტყის კატეგორიები:** ტყეების კატეგორიზაცია (მაგ., დამცავი ტყეები, სამეურნეო ტყეები, რეკრეაციული ზონები) და მართვის მიზნები თითოეული კატეგორიისათვის.<br>o **გავლენა ადგილობრივ თემებზე:** ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელიც შეიძლება შეიცავდეს:<br>1. **ძოვება vs კონსერვაცია:** განმარტება იმისა, თუ სად არის ძოვება ნებადართული ან შეზღუდული და ამ გადაწყვეტილებების დასაბუთება.<br>2. **ხე-ტყის დამზადება vs ეკოსისტემის დაცვა წინააღმდეგ:** ეკონომიკურ საქმიანობებს, როგორიცაა ხე-ტყის დამზადება, და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკოსისტემების დაცვას შორის ბალანსის განმარტება.<br>3. **ტურიზმი და რეკრეაცია:** ტურიზმისა და რეკრეაციული განვითარებისათვის განკუთვნილ ტერიტორიებისა და ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის პოტენციური შესაძლებლობების ხაზგასმა.<br>o **ვიზუალური მხარე და აღქმადობა:** რუკების, დიაგრამებისა და სქემების გამოყენება იმისათვის, რომ დოკუმენტი იყოს ვიზუალურად მიმზიდველი და ადვილად გასაგები არატექნიკური დაინტერესებული მხარეებისთვის. ენა უნდა იყოს გასაგები და ნაკლებად დატვირთული ტექნიკური ტერმინებით. |
| II | **ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) მობილიზება** | • ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) წევრებთან წინასწარ დაკავშირება და მათი ინფორმირება ტყის მართვის გეგმის დაგეგმილი გამოქვეყნებისა და მის განხილვაში მათი როლის მნიშვნელობის შესახებ.<br>• ტყის მართვის გეგმის შესწორებული ვერსიის ელექტრონული რეზიუმეს მიწოდება ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) წევრებისათვის ისეთი ხელმისაწვდომი არხების გამოყენებით, როგორიცაა ელფოსტა, შეტყობინებების აპლიკაციები ან ადგილობრივი ხელისუფლების პლატფორმები.<br>• ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) მიერ ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული |

| | | |
|---|---|---|
| | | მხარეებისთვის ტყის მართვის გეგმის რეზიუმეს გავრცელების წახალისება, რაც ხელს შეუწყობს ჩართულობის ზრდას. ინფორმაციის გასავრცელებლად მუნიციპალური Facebook ჯგუფებისა და ადგილობრივი მედიასაშუალებების გამოყენება.<br>• კომენტარების მოსაწოდებლად 40 დღიანი ვადის დაწესება. |
| III | **საბოლოო ცვლილებები დოკუმენტში** | • ტყის მართვის გეგმაში საბოლოო ცვლილებების შეტანა დაინტერესებული მხარეების კომენტარების საფუძველზე. ყველა ცვლილების გამჭვირვალედ დოკუმენტირება და ამა თუ იმ მოსაზრების გათვალისწინების ან არგათვალისწინების მიზეზების განმარტება. |
| **შედეგი** | | მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტი შემუშავებულია |

## 4. ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის საჯარო განხილვა

მიზანი: ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტის ოფიციალურად წარდგენა მუნიციპალიტეტში ფართო საზოგადოებისათვის

ხანგრძლივობა: 20 დღე

დამოკიდებულება: მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პროექტი მომზადებულია (ფაზა 3-ის – აქტივობა 3-ის შედეგი)

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ აუცილებელია საჯარო განხილვის ჩატარება ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარისთვის ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის წარსადგენად. ეს ღონისძიება გახდება გამჭვირვალე კომუნიკაციისა და ანგარიშვალდებულების პლატფორმა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის განხილვის შესაძლებლობას მისცემს და ფართო საზოგადოების ინფორმირებასა და ჩართულობას უზრუნველყოფს.

საჯარო განხილვის წარმატების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების მობილიზება და ყველა ძირითად დაინტერესებულ მხარესთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, სატელეფონო ზარების განხორციელება და ელექტრონული წერილების დაგზავნა. ღონისძიების გაშუქებისა და ტყის მართვის გეგმისა და ტყის მდგრადი მართვისთვის მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ღონისძიებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული მედიაც.

საჯარო განხილვის დროს აუცილებელია საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება საჩივრების განხილვის მექანიზმების შესახებ იმისათვის, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა გაიგონ, თუ როგორ შეუძლიათ მათ ოფიციალურად საკუთარი წუხილის გამოთქმა, მოსაზრებების დაფიქსირება ან ტყის მართვის გეგმასთან დაკავშირებული ამ თუ იმ პრობლემის მოგვარება.

ტყის მართვის გეგმის საჯარო განხილვის პროტოკოლი

| # | ამოცანა | აღწერა |
|---|---|---|
| I | მომზადება | • **განხილვის ჩასატარებლად ადვილად მისადგომი ადგილის შერჩევა:** განხილვის ჩასატარებლად ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის საზოგადოების წევრებისთვის, ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის ადვილად მისადგომი ადგილის შერჩევა. ვირტუალური, ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში - ყველა მონაწილის უზრუნველყოფა აქვს საჭირო ტექნოლოგიებით.<br>• **განხილვის ჩასატარებლად ხელსაყრელი დროის შერჩევა:** განხილვის დაგეგმვა დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობისთვის მოსახერხებელ დროს, მაქსიმალური დასწრების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი სამუშაო გრაფიკისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. განხილვის ჩატარება რეკომენდებულია შაბათს ან კვირას.<br>• **საპრეზენტაციო მასალების მომზადება:** მკაფიო და ლაკონიური საპრეზენტაციო მასალების მომზადება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტყის მართვის გეგმა, ძირითადი მიზნები, ტყის მიწათსარგებლობის კატეგორიები და გეგმაში შეტანილი ცვლილებები. ისეთი ვიზუალური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა რუკები, დიაგრამები და ინფოგრაფიკა, რთული ინფორმაციის გაგებაში აუდიტორიის დასახმარებლად.<br>• **ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) ადრეულ ეტაპზე ჩართვა:** ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) წევრებთან დაგეგმვის პროცესის დასაწყისშივე დაკავშირება მათი დროულად ინფორმირებისა და ჩართვის უზრუნველსაყოფად. მათი წახალისება საკუთარი თემების მობილიზებასა და დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ინფორმირებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.<br>• **მასალების გავრცელება:** ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებისთვის (LAC) ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის ელექტრონული და/ან ბეჭდური ასლების, აგრეთვე ისეთი ინფორმაციის მიწოდება, როგორიცაა გეგმაში შეტანილი ცვლილებები, მიწათსარგებლობის |

| | | |
|---|---|---|
| | | კატეგორიები და მისი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე (ძოვება, კონსერვაცია, ტურიზმი და ა.შ.). ფართო საზოგადოებისათვის მასალების დარიგება განხილვის ჩატარებამდე.<br>• **განხილვაში მონაწილეობის ხელშეწყობა:** ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოების (LAC) წახალისება პირისპირ, ადგილობრივი შეხვედრებისა და ციფრული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით განხილვის შესახებ საზოგადოების ინფორმირებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის ჩამოყალიბებაში საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობის ხაზგასმა.<br>• **აუდიტორია**<br>o **მოსაწვევების გაგზავნა:** დაინტერესებული მხარეების სრული სიის შედგენა, რომელშიც შევლენ ადგილობრივი თემები, სახელმწიფო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, სამეცნიერო ინსტიტუტები, კერძო კომპანიები და საერთაშორისო პარტნიორები. მონაწილეების მოსაწვევად ოფიციალური მოსაწვევების გაგზავნა ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო ზარების განხორციელება და სოციალური მედიის გამოყენება.<br>o **არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა:** შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც გარემოს დაცვის, ტყის მართვის, სათემო განვითარების საკითხებზე მუშაობენ, დაკავშირება და მათი ჩართვა საჯარო მოსმენის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში.<br><br>• **მედიის გამოყენება:**<br>o **პრეს-რელიზები:** საჯარო განხილვის მთავარი საკითხებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ პრეს-რელიზების მომზადება და ადგილობრივი და რეგიონული მედიასაშუალებებით მათი გავრცელება. ტყის მდგრად მართვასა და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო საშუალებებზე ტყის მართვის გეგმის გავლენის ხაზგასმა.<br><br>• **სოციალური მედიაკამპანიები: ინფორმაციის გასავრცელებლად სოციალური** |

| | | |
|---|---|---|
| | | **მედიაპლატფორმების გამოყენება.** ღონისძიების გვერდების შექმნა, შესაბამისი ჰეშთეგების გამოყენება და დაინტერესებული მხარეების წახალისება, ჩაერთონ ფართო აუდიტორიისთვის განხილვის შესახებ ინფორმაციის გაზიარებაში. |
| II | **საჯარო განხილვის ჩატარება** | • **შესავალი სიტყვები:** საჯარო განხილვის გახსნა შესავალი სიტყვებით, რომლებსაც ხელისუფლების წარმომადგენლები წარმოთქვამენ (მაგ., ეროვნული სატყეო სააგენტოს, ადგილობრივი ხელისუფლების ან ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოს (LAC) წარმომადგენლები), ღონისძიების მნიშვნელობისა და ტყის მართვის გეგმის დასრულებაში მისი როლის ხაზგასასმელად.<br>• **ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის პრეზენტაცია:**<br>o ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის დეტალური პრეზენტაცია, რომელშიც აღნიშნული იქნება მიწათსარგებლობის ძირითადი ფუნქციები, ტყის კატეგორიები და ის, თუ როგორ იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილებები ადრე ჩატარებული კონსულტაციებისა და მიღებული გამოხმაურების საფუძველზე.<br>o განმარტება იმისა, თუ როგორ უზრუნველყოფს ტყის მართვის გეგმა კონსერვაციის, რესურსების გამოყენების, ადგილობრივი თემების საჭიროებებისა და მდგრადი განვითარების მიზნების დაბალანსებას.<br>o ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული პოტენციური კონფლიქტებისა (მაგ., ძოვება და კონსერვაცია) და გეგმაში ამ კონფლიქტების მოგვარების ან შერბილების გზების აღნიშვნა.<br>• **საჩივრების განხილვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება:**<br>o საჩივრების განხილვის მოქმედი მექანიზმები, რომლებიც დანერგილია ტყის მართვის გეგმასთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების წუხილების ან საჩივრების საკითხის მოსაგვარებლად. ესენია:<br>▪ **საჩივრების წარდგენის პროცედურები:** საჩივრების ან მოსაზრებების წარდგენის პროცედურების განმარტება ვადების, საკონტაქტო პუნქტებისა და |

| | | |
|---|---|---|
| | | პასუხისმგებელი ორგანოების მითითებით.<br>▪ **მიმდინარე მონიტორინგი და გამოსწორების ზომები:** ტყის მართვის გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და განხორციელებისას წარმოქმნილი შესაძლო კონფლიქტების მოგვარების მექანიზმების განხილვა.<br>o დაინტერესებული მხარეების მიერ ამ მექანიზმებსა და მათთვის სასურველ მხარდაჭერაზე საჭიროების შემთხვევაში წვდომის გზების კარგად გაგება.<br>• **დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისა და დიალოგის ხელშეწყობა:**<br><br>• **ღია დისკუსიის წახალისება:** პრეზენტაციის შემდეგ დროის გამოყოფა კითხვებისთვის, კომენტარებისა და დისკუსიებისთვის. დაინტერესებული მხარეებისთვის საკუთარი შეხედულებების გაზიარების, დამატებითი კითხვების დასმის და პრობლემების წამოჭრის შესაძლებლობის მიცემა.<br>• **ყურადღების გამახვილება დარჩენილ პრობლემურ საკითხებზე:** განხილვის დროს წამოჭრილი ნებისმიერ საკითხის ან პრობლემის განხილვა ან დაფიქსირება მომდევნო ღონისძიებაზე განსახილველად.<br><br>• **განხილვის შემდგომი ღონისძიებები**<br><br>• **შედეგების შეჯამება:** საჯარო მოსმენის შემდეგ ძირითადი შედეგების შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება (დაფაზე ან PPT პრეზენტაციის სახით), რომელშიც ასევე წარმოდგენილი იქნება საბოლოო გადაწყვეტილებებია, შეთანხმებები და გადაუჭრელი საკითხები. ანგარიშის დარიგება ან წარდგენა დამსწრეებისთვის და ფართო საზოგადოებისათვის მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.<br>• **ტყის მართვის გეგმის საბოლოო ვერსიის კორექტირება (საჭიროების შემთხვევაში):** საჯარო განხილვის დროს წამოჭრილი ახალი პრობლემის ან კრიტიკული გამოხმაურების განხილვა და |

| | | |
|---|---|---|
| | | მოგვარება ტყის მართვის გეგმაზე მუშაობის დასრულებამდე.<br>• უწყვეტი კომუნიკაცია: დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის შემდგომი ნაბიჯების შესახებ, მისი დამტკიცებისა და განხორციელების ვადების ჩათვლით. კომუნიკაციის ღია არხების უზრუნველყოფა მომავალში შეკითხვებისა თუ საჩივრების მისაღებად. |
| შედეგი: | | ტყის მართვის გეგმის საჯარო შეხვედრა ჩატარებულია და ტყის მართვის გეგმაზე მუშაობა დასრულებულია |

## 5.2 IPPA მეთოდოლოგიის დიაგრამა



## 6. აუცილებელი რესურსები და შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება

საზოგადოების მონაწილეობის დონის ეფექტიანად ასამაღლებლად აუცილებელია სამი ძირითადი კომპონენტი: ა) ჩართულობის მრავალფეროვანი ფორმატები, ბ) საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები და გ) დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება. ქვემოთ მოცემულია ამ კომპონენტების დეტალური დახასიათება:

1. **ადამიანური რესურსები:** ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურები და მუნიციპალური ადმინისტრაციები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული. მათ უნდა გამონახონ დრო პროცესების მოსამზადებლად, ფორმატების ორგანიზებისა და დაინტერესებულ მხარეების წასახალისებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლები ფასილიტაციის უნარებს ფლობენ, აუცილებელია, რომ ფასილიტატორები არა მხოლოდ დისკუსიებს უძღვებოდნენ, არამედ უზრუნველყოფდნენ საზოგადოების მოსაზრებების ჩართვასა და გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

   **კერძოდ, ეროვნული სატყეო სააგენტოდან ჩართული უნდა იყვნენ შემდეგი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები:**

   - **ეროვნული სატყეო სააგენტო თანამშრომელი/ფასილიტატორი** იქნება მნიშვნელოვანი IPPA-ს სხვადასხვა ფაზების წარმართვისა და ხელშეწყობის საქმეში. აგრეთვე:
   - **მეტყევე მენეჯერები და დამგეგმავები** უხელმძღვანელებენ ტყის მართვის გეგმის მომზადებას და საველე სამუშაოებს.
   - **საზოგადოების მონაწილეობის სპეციალისტები** უზრუნველყოფენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კოორდინაციას.
   - **GIS ექსპერტები** უხელმძღვანელებენ სივრცითი მონაცემებისა და ეკოსისტემური სერვისების დარუკებას.
   - **საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომლები** უზრუნველყოფენ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებსა (LAC) და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციას.
   - **თანამშრომლები,** რომლებიც იმუშავებენ ადგილობრივ თემებთან და უზრუნველყოფენ მათ აქტიურ ჩართულობას IPPA-ს პროცესში.

2. **ფინანსური რესურსები:** მონაწილეობითი პროცესების ორგანიზებისთვის აუცილებელია სათანადო ფინანსური რესურსები ადმინისტრაციული, ლოგისტიკისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარჯების დასაფარად.
3. **შესაძლებლობების გაძლიერება:** დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ ამ პროცესებში

შედეგიანად ჩასართავად საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რისთვისაც, შესაძლოა, საჭირო გახდეს სპეციალური სასწავლო პროგრამების განხორციელება.

**ლოგისტიკა:**

ფორმატების განხორციელება მინიმალურ **ტექნიკურ რესურსებს** მოითხოვს. თითოეულ მუნიციპალიტეტს ან ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონულ სამსახურს აქვს საკუთარი სივრცეები (საკონფერენციო დარბაზი, საკონცერტო დარბაზი, შეხვედრების ოთახი, საზოგადოებრივი ცენტრები და ა.შ.) საჯარო განხილვების, შეხვედრების ან ფოკუს ჯგუფის დისკუსიების ჩასატარებლად. დაინტერესებულ მხარეთა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიები ასევე შეიძლება ჩატარდეს ტყეში ან ადგილობრივ სოფლებში, საკითხის ან ჯგუფის შესაბამისად. ფორმატიდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს კვების ან შეხვედრის ჩასატარებლად საჭირო ტექნიკის ხარჯების დაფარვა.

სხვა საჭირო რესურსებია:

- **ბეჭდური მასალები:** ბროშურები, მასალები და რუკები საჯარო შეხვედრებისა და კონსულტაციების დროს დასარიგებლად, მათ შორის, მოკლე ინფორმაცია ტყის მართვის დაგეგმვის, მიწათსარგებლობის გეგმებისა და ეკოსისტემური სერვისების შესახებ.
- **ტრანსპორტი საველე სამუშაოებისათვის:** ავტომანქანები და საწვავი მონაწილეობითი დარუკების და საველე მონაცემების შეგროვებაში ჩართული საველე ჯგუფებისათვის და შეხვედრების მოშორებით მდებარე ადგილებში ჩასატარებლად.
- **ზეპირი და წერილობითი თარგმანი (საჭიროების მიხედვით):** ყველა მასალის ხელმისაწვდომობა ადგილობრივ ენებზე და საჭიროების შემთხვევაში საჯარო განხილვების თარგმნის უზრუნველყოფა.

# 7. კანონმდებლობა

**საერთაშორისო ვალდებულებები**

ტყის მართვასთან დაკავშირებით საქართველოს ვალდებულებებზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს ქვეყნის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები. მათ შორის აღსანიშნავია კონვენცია **ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ**, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 1994 წელს მოახდინა. 2004 წელს კონვენციის მხარეთა კონფერენციამ შეიმუშავა **ტყის ბიომრავალფეროვნების საკონსერვაციო სამუშაოების გაფართოებული პროგრამა**. ეს პროგრამა მხარეებს, მათ შორის საქართველოს, ავალდებულებს, შეიმუშაონ და განახორციელონ ტყის მართვის ადგილობრივი სისტემები, რომლებიც მიზნად ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვასა და კონსერვაციას ისახავენ.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის გარდა, საქართველოს აქვს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რამდენიმე სხვა საერთაშორისო შეთანხმებით, მათ შორის **ბერნის**

**კონვენციით, რამსარის კონვენციით, ევროპის ტყეების კონვენციითა** და **გაეროს სატყეო ფორუმით** განსაზღვრული ვალდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეთანხმებებში ხაზგასმულია ტყის მდგრადი მართვის მნიშვნელობა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ტყის მართვის ადგილობრივი სისტემების განვითარებას ცალსახად არ მოითხოვენ.

**ეროვნული კანონმდებლობა**
საქართველოს მიდგომა ტყის მართვის მიმართ რამდენიმე ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტშია ასახული:

- **საქართველოს მთავრობის დადგენილება „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ" (2007 წ.)**
- **საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია (2013 წ.)**
- **საქართველოს ტყის კოდექსი (2020 წ.)**

თითოეულ ამ დოკუმენტში ხაზგასმულია მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი ტყეებისთვის ან მათი კონკრეტული ნაწილებისთვის მუნიციპალური ტყის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობა. ასეთი სტატუსი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს ტყეების მდგრად მართვაში როგორც ეროვნულ მიზნების, ასევე საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი ტყეების ეფექტიანად მართვისა და დაცვის უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის ერთობლიობა საქართველოს ტყის რესურსების მდგრადი მართვისა და შენარჩუნების სამართლებრივ საფუძველს ქმნის, უწყობს რა ხელს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას და ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების დაცვას.

## 8. რეკომენდაციები

**დადგენილება IPPA-ს შესახებ**

ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უნდა მიიღოს პროაქტიური ზომები **საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომის (IPPA)** ინსტიტუციონალიზაციის მიზნით დადგენილების შესამუშავებლად. ეს ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია ტყის მართვის გეგმების შემუშავების პროცესში მონაწილეობითი ჩარჩოს გასაძლიერებლად.

IPPA მეთოდოლოგიის ფორმალიზებით ეროვნული სატყეო სააგენტო დაადგენს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მკაფიო სტანდარტებსა და მითითებებს, რაც ტყის მართვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი მხარეების აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

<u>IPPA მეთოდოლოგიის ინსტიტუციონალიზაციის დადებითი მხარეები</u>

- IPPA-ს ინსტიტუციონალიზაცია ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების ყველა დონეზე სისტემატურ და შედეგის მომტან ჩართულობას. კერძოდ, ის უზრუნველყოფს ადგილობრივი თემების ხმის უფლებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ტყის მართვის გეგმების შემუშავებაში მათი ტრადიციული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებას.
- ის შექმნის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გამოვლენის, მათი ჩართულობისა და თანამშრომლობის საფუძველს, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობაში ტყის რესურსების საკუთრებისა და მათზე პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას.
- დადგენილება, საჯარო კონსულტაციების, მონაცემთა შეგროვებისა და უკუკავშირის მექანიზმების განსაზღვრის გზით, ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.
- შეიქმნება ანგარიშვალდებულების მკაფიო მექანიზმები, რომლებიც ტყის მართვის დაგეგმვაში დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და მოსაზრებების გათვალისწინებას უზრუნველყოფენ, რაც ზოგადად მმართველობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.
- IPPA მეთოდოლოგიის ფორმალიზება ეროვნული სატყეო სააგენტოს პრაქტიკას გარემოსდაცვით მმართველობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებთან დააახლოებს.
- ის უზრუნველყოფს საქართველოს ტყის მართვის პრაქტიკის შესაბამისობას სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებების, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციისა და ევროპული ტყეების კონვენციის, მოთხოვნებთან და ამ გზით ხელს შეუწყობს ევროკავშირთან საქართველოს დაახლოებას.

სერტიფიცირება

ამჟამად **ტყის სერტიფიცირების** საკითხი ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ შემუშავებული ტყის მართვის გეგმების კომპონენტს არ წარმოადგენს თუმცა, ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მომავალში უნდა იქნას გათვალისწინებული. სერტიფიცირება **სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC)** ან სხვა აღიარებული სქემებით სცილდება ტყის მართვის ტექნიკურ ასპექტებს და ყურადღებას ამახვილებს როგორც მდგრადი გამოყენების, ასევე ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ტყის მართვის გეგმებში, როგორც წესი, ყურადღება მიმდინარე პრობლემების გადაჭრასა და ტყის მართვის სპეციფიკურ საკითხებზეა გამახვილებულია, ეს გეგმები ასევე წარმოადგენენ **სტრატეგიულ ხედვას** ტყის რესურსებთან დაკავშირებული **ეკონომიკური შესაძლებლობების** იდენტიფიცირებისა და ოპტიმიზაციისთვის. ტყის მართვის დაგეგმვაში ტყის სერტიფიცირების შემოღებით, ეროვნულ სატყეო სააგენტოს შეუძლია ხელი შეუწყოს ადგილობრივი და ეროვნული სატყეო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, რაც უზრუნველყოფს ტყის რესურსების მდგრად მართვას და, შესაბამისად, სერტიფიცირებული ტყის პროდუქტებისთვის ახალი ბაზრების გახსნას.

ამ კონტექსტში, სერტიფიცირება შეიძლება განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ სერტიფიცირება ტყის მართვის დაგეგმვის არსებული ჩარჩოს ნაწილს არ წარმოადგენს, მომავალში ის, სავარაუდოდ, გათვალისწინებული იქნება. ტყის მართვის გეგმებში სერტიფიცირების ჩართვამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კონსერვაციისკენ მიმართული ძალისხმევის გაძლიერებასა და ტყეების უფრო ეფექტიანად ზონირების უზრუნველყოფაში. მდგრადი მართვის სტანდარტების დანერგვით სერტიფიცირება გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვან გარემოსდაცვით და ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების მხარდაჭერის პარალელურად ტყის რესურსების მეტი პასუხისმგებლობით გამოყენებას უზრუნველყოფს.

**ადამიანური რესურსები**

ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებთან (LAC) კომუნიკაციისთვის ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის ინვენტარიზაციის დეპარტამენტის მიერ დამატებითი პასუხისმგებლობის აღება.

**ტყის მართვაში გენდერული ფაქტორების გათვალისწინების მნიშვნელობა**

იმისათვის, რომ ტყის მართვის პრაქტიკა იყოს ინკლუზიური, სამართლიანი და მდგრადი, აუცილებელია გენდერული საკითხების სათანადოდ გათვალისწინება. გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალების, მამაკაცებისა და მარგინალიზებული ჯგუფების განსხვავებული მოსაზრებების მხედველობაში მიღების უზრუნველსაყოფად, გამოყენებულ იქნა გენდერული ანალიზი ამ ჯგუფების განსაკუთრებული როლის, საჭიროებებისა და წვლილის შეფასების მიზნით. ტყეებზე დამოკიდებულ თემებს, განსაკუთრებით ქალებს, ხშირად ისეთი სპეციფიკური მოვალეობები აკისრიათ, როგორიცაა ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება და ეკოსისტემური სერვისების მართვა, ამიტომ გრძელვადიანი შედეგების მისაღებად მათი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია.

ინტერსექციური მიდგომის გამოყენება ამ პროცესს ისეთი ურთიერთგადამკვეთი ფაქტორების იდენტიფიცირების შედეგად აუმჯობესებს, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა და ასაკი, რომლებიც ტყის მართვაში ადამიანების გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე ახდენენ გავლენას. ინტერსექციური მიდგომის გამოყენება უზრუნველყოფს ყველა ჯგუფის გათვალისწინებას და ინიციატივების მიმართვას უთანასწორობის აღმოფხვრაზე, უმცირესობათა პერსპექტივების გაუმჯობესებასა და სარგებელზე სამართლიანი წვდომის ხელშეწყობაზე. გენდერული საკითხების აქტუალიზაცია ზრდის საზოგადოების ჩართულობას, აუმჯობესებს მმართველობის შედეგებს და ხელს უწყობს ტყის მართვის უფრო გამძლე და ინკლუზიურ სისტემების ჩამოყალიბებას.

გენდერული საკითხების აქტუალიზაცია და ინტერსექციური მიდგომის გამოყენება ტყის მართვის ყველა ეტაპზე - დაგეგმვიდან განხორციელებამდე და მონიტორინგამდე, პოლიტიკას უფრო მგრძნობიარეს, სამართლიანსა და წარმატებულს ხდის. ასეთი ინკლუზიური მიდგომა არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ლეგიტიმურობასა და ღიაობას ზრდის, არამედ, ყველა დაინტერესებული მხარის გამოცდილების, უნარებისა და წვლილის

გამოყენების შედეგად, გრძელვადიან მდგრადობასაც აძლიერებს. ტყის მართვის ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ქალებსა და მარგინალიზებულ ჯგუფებს აძლიერებენ, ხელს უწყობენ სოციალურ სამართლიანობას, აძლიერებენ საარსებო საშუალებებს და ბუნებრივი რესურსების მართვისა და დაცვის უნარისა და შესაძლებლობების მქონე საზოგადოებებს აყალიბებენ.

დამატებითი რეკომენდაციები:

- ადგილობრივი თემებისთვის სასწავლო სემინარების ჩატარება: ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებისა (LACs) და საზოგადოების წევრებისთვის ტრენინგების ორგანიზება ეკოსისტემური სერვისების მონაწილეობითი დარუკების მეთოდების შესახებ ტყის მართვის გეგმების მომზადებაში მონაწილეობის მიღების მიზნით მათი შესაძლებლობების გასაძლიერებლად.
- უწყვეტი უკუკავშირის მექანიზმების ჩამოყალიბება: ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოებს (LACs), ადგილობრივ თემებსა და ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის რეგულარული უკუკავშირისა და სადისკუსიო პლატფორმების შექმნა ტყის მართვის გეგმების განახლების პროცესში უწყვეტი დიალოგისა და ადგილობრივი ცოდნის გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.
- თანამშრომლობისთვის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება: ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ინსტიტუტებსა და დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ეკოსისტემური სერვისების შეფასების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მათი რესურსების, ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად.
- მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა: ტყის მართვის დაგეგმვაში ეკოსისტემური სერვისების ჩართვის ზემოქმედების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ადაპტირებადი მართვის დანერგვას და მის მუდმივ გაუმჯობესებას საზოგადოების გამოხმაურებებისა და ეკოლოგიური შედეგების საფუძველზე.
- ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების ხელშეწყობა: საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება ეკოსისტემური სერვისებისა და ტყის მდგრად მართვაში მათი როლის მნიშვნელობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ტყის მართვის დაგეგმვის სამომავლო ინიციატივებში ადგილობრივი მოსახლეობის უფრო აქტიურად ჩართვას.

# 9. დასკვნა

საქართველოში **საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობით მიდგომის (IPPA)** განხორციელება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც ტყის მართვის პრაქტიკას ადგილობრივი თემების სურვილებსა და ეკოსისტემის მდგრადობის პრინციპებთან აახლოებს. ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის ხელშეწყობა ისეთი მონაწილეობითი ინტსრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა ადგილობრივ მრჩეველთა საბჭოები და სტრუქტურირებული საჯარო კონსულტაციები, IPPA ეფექტიანად ავსებს

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის კუთხით არსებულ ხარვეზებს და ხელს უწყობს ინკლუზიურ მმართველობას.

ეს ინოვაციური მიდგომა განკუთვნილია არა მხოლოდ კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, არამედ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფადაც, რასაც ის ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში მოსაზრებებისა და იდეების ფართო სპექტრის ინტეგრირებით აღწევს. მოსაზრებების მრავალფეროვნების აღიარებითა და მათი გათვალისწინებით, IPPA აძლიერებს გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას და ხელს უწყობს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის ზრდას.

IPPA-ს შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს ტყის მართვა საქართველოში, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას, გენდერულ თანასწორობასა და ბიომრავალფეროვნების დაცვას. ადგილობრივი თემებისა და ეკოსისტემების გრძელვადიანი სიჯანსაღის ხელშეწყობით, IPPA წარმოადგენს ტყის მართვის კომპლექსურ მიდგომას, რომელიც სოციალურ, ეკონომიკურ და გარემო ფაქტორებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებს აღიარებს. ასეთი ინსტრუმენტის მეშვეობით საქართველოს თავისი ტყეებისა და მათზე დამოკიდებული თემებისთვის გამძლე და მდგრადი მომავლის შექმნა შეუძლია.